


140  
1988/2

ISSN 0132 - 6007  
ՀԱՅՈՅԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



ՀԱՅՈՅԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

Յ 3  
1988



მე ვიზრდები და  
დედაჩემი პატარავდება,  
არა სულით,  
არა გრძნობით,  
არა გონებით —

პატარავდება დედაშვილობის ჩემი პატარა,  
ჩემი ლამაზი, ფერმკრთალი დედა.

მარადიული ზეშთაგონებით.  
და თუ ღმერთს უნდა ჩემი სიკეთე,  
ან თუ სიკეთე ვიწამო ღმერთად,  
მიცოცხლოს დედა —

ჩემი პატარა,  
ჩემი ლამაზი, ფერმკრთალი დედა.

ერთსიტყვიანი პოემა,  
ერთსიტყვიანი ლექსი,  
ერთსიტყვიანი სიმღერა —  
ერთ საოცრებად გვესმის,  
ერთსიტყვიანი სიცოცხლე,

სითბო, სილალე, სევდა,  
რაც კი რამ არის  
ამ ქვეყნად,  
ერთ სიტყვაშია —  
დედა!

მარტის გაძლებას რა უნდა,  
რაც უნდა იყოს მძვინვარი,  
როდესაც ია გამხნევებს,

მორცხვი და პირმომცინარი...  
მარტის გაძლებას რა უნდა,  
როცა აპრილი წინ არი...

თეატრა ეიჭავა



ეს კოქჩინა თეატრი თბილისი, ვერაზე, ბელინსკისა და ჯავახიშვილის ქუჩების კუთხეში მდებარე სახლის სარდაფშია მოთავსებული. მას „საფეხურები“ ჰქვია. აქ უკლაფერი პატარა — დარბაზიც. სცენაც, კულისებიც, გარდერობიც, მსახოვებიცა და მაყურებლებიც, მხო-

## თეატრი, სახელმწიფო „სავაჭროაზი“

# „სავაჭროაზი“

ლოდ მისი ხელმძღვანელები, რეჟისორები — ალექს თეთრაძე, მერაბ ჩხაიძე და დირექტორი ზევიად ბერძენიშვილი არიან უფროსები. თეატრი ასკითაც პატარაა — იგი 1985 წელს გაიხსნა, როცა პარტიისა და კომკაფშირის კალინინის რაიკომების უშუალო ხელშეწყობითა და საქმიანი თანადგომით ხორცი შეესხა ბავშვთა თეატრის შექმნის კარგ იდეას.

მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მოხერხდებოდა იმ ხელმიშვებული, უსახური და ნაგვით სავსე სარდაფ-საწყობის „მორჯულება“ და მისთვის, თეატრისათვის საჭირო იერსახის მიცემა. მოკლე დროში კი, პირიქით, იმის წარმოდგენა გახდა ძნელი, თუ ეს კოხტა, გამართულ-აღჭურვილი თეატრი იღესმე სხვანარად გამოიყურებოდა. ყველაზე სახიერად მომავალი თეატრის კონტურებს იმ სამშენებლო ქაოსში გაინც მისი შექმნის იდეის ავტორები, თეატრალური ინსტიტუტის სარეფისორო ფაკულტეტის მაშინდელი სტუდენტები — ალექს თეთრაძე, ირინე ულენტი და სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი მერაბ ჩხაიძე ხე-

© «პიონერი», თბილი 1988 წ.



ეს სცენაზე ჩდება.  
წარმოდგენის დამ.  
თავრების შემდეგ...

დავდნენ. მათ ამგვარი თეატრის არსიცა და ძირითადი მიზან-დანიშნულებაც იმთავითვე ჰქონდათ გაცნობიერებული — იგი თეატრალური ხელოვნების შეყვარება-გაგებაში უნდა დახმარებოდა ბავშვებს. სწორედ აქეთკენ არის წარმართული დღესაც „საფეხურების“ მთელი მუშაობა.

როცა ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დამთავრდა და აღჭურვილობის საქმეც ასე თუ ისე მოგვარდა, მომავალ თეატრს მსახიობობის სამასზე მეტმა მსურველმა მოკითხა — სკოლებში უკვე გამოცხადებული იყო დასის დასაკომპლექტებელი გასინჯვა-კონკურსის შესახებ. მერე კონკურსიც ჩამთავრდა, სათანადო მონაცემების მქონე ბავშვებიც შეირჩა და რეპერტიციებიც დაიწყო.

გადაწყდა, თეატრის გასახსნელ სკეტჩიკლად ეტიუდების ნაკრები მოექმნადებინათ. რა ჩხალისითა და მონდომებით ჩაებნენ ბავშვები მუშაობაში, რა სიამოვნებითა და გატაცებით აჰყვნენ შეთავაზებულ თამაშს, იმპროვიზაციისა და ფანტაზიის აღმაფრენის ესოდენ დიდ გასაქანს რომ აძლევდა თითოეულ მათგანს! ადამიანი-ცხოველი, ადამიანი-

ფრინველი, ადამიანი-საგანი, მე და გარემო — სამსახიობო ხელოვნების დასახვეწი ეს სავარჯიშო ეტიუდები ხან კატად აქცევდა გოგო-ბიჭებს, ხან-სირაქლემად, მაიმუნად, ძალად ან არწივად; ვინ უთოს განასახიერებდა, ვინ-ხრახნს, მაყრატელს, სიგარეტს, ვინ კიდევ—დნობაშემდგარ ნაყინს. ნორჩმა მსახიობებმა ის მშობლებიც წარმოადგინეს, რომლებიც გააფთრებული დაჟინებით მოითხოვდნენ თავიანთი შვილების დასში ჩარიცხვას, თუმცა მათ სათანადო მონაცემები არ ჰქონდათ. რეპერტიციების დროს გამოირკვა, რომ ბავშვებს საკუთარი თავიც ძალზე ზუსტად დაენახათ. — პირველ მეცადინეობებზე ასე რომ ცდილობდა

საქართველოს აღკა 88-ის და  
ე. ი. ლეიტონის ხელოვნების  
ეპონემური მუსეუმის გამოსახული  
ერთა გარემონადის საბჭოს  
ყოველთვის საბჭო  
საბავშვო ერავალი

**პიონერი**

გამოდის  
1926 წლიდან

საჭ. გვ. 88-ის  
მუსეუმის მობილი

3 მარტი  
1988



...ეს კი — მაცხოველთა დარბაზში, წარმოდგენეს მაცხოველობისას.

ნენ რითომე გამოიწინათ თავი და როგორმე მიექციათ რეჟისორების უურადღება; არც ამ უკანასკნელების მიხვრა-მოხვრისა თუ საუბრის თავი-სებურებები გამოპარეოდა მათ თვალსა და ყურს. ორი თვე ემზადებოდნენ. დაიხვეშა, ზედმეტისა და ხელოვნურისაგან გათავისუფლდა ბავშვების თამაში, შებორკილობა და უხერხულობა-სიმორცხვეც თანდათან გაქრა, ფრთა შეისხა იმპროვიზაციამ, პატარ-პატარა ეტიუდები ერთ მთლიანობაში შეიკრა და

დაიბადა პირველი სპექტაკლი — „სამი საფეხური“ („სამი დღე თეატრის ცხოვრებიდან“). წარმატებულმა დებიუტმა ყველას ერთნაირად დიდი სიხარული მოუტანა, მომავალი მუშაობისათვის ესოდენ აუცილებელი საკუთარი ძალების რწმენა შემატა, შემოქმედებითი სითამაშეც მისცა და ახლის ძიების სურვილიც გაუძლიერა.

ყოველივე ამის შედეგად კი შეიქმნა მეორე სპექტაკლი, რომ პატარა მსახიობები ჩასწვდნენ ზღაპრის დედაარსს და თავიანთ თანატოლ მაყურებლამდეც მიიტანეს იგი. კიდევ ერთი რამ დაადასტურა ამ წარმატებამ — რომ უთუოდ სწორია „საფეხურების“ ხელმძღვანელთა მიერ აღებული გეზი და



2 ეს პირველი სპექტაკლის ისეთივა მონაწილეები პატარ, რომ პორტ ლუდვიგის როლის შემსრულებელი იქნა ციცებავა.

**მადგენლობა** — დიდიან-გეტარისაც ეს ვახლავთ „ლუდვიგ XIV, ანუ არავინ დაიჯერებს“. დანიელი მწერლის იან ექვოლმის ეს სიკეთით გმითბარი ზღაპარი მელისის ლეკვისა და წიწილას სიყვარულზე. სუფთა სულის პატარა რაინდი, მელაქუდა ლუდვიგი არ იზიარებს თავისი ოჯახის დევიზს — „გაუმარჯოს ეშმაკობას“, რითაც თავისიანების უნდობლობასა და რისხეას იმსახურებს; წიწილასამი მისი სიყვარული კი საბოლოოდ წყვეტს მის ბეჭდს... 40-ჯერ წარმოადგინა „საფეხურების“ დასმა „ლუდვიგ XIV“ და ორმოცივეჯერ სპექტაკლმა ანშლაგით ჩაიარა. ვერც დარბაზში სკამების ჩამატებაშ უშველა საქმეს და ვერც კუთხე-კუნძულში ჩაცეცევამ თუ ფეხზე დგომამ — მანც ბევრმა მსურველმა ვერნახა ეს, უთუოდ საინტერესოდ დადგმული სპექტაკლი. თეატრმა „ლუდვიგი“ ტანძელ ბავშვებსაც უჩვენა. ეს წარმატება, უწინარეს ყოვლისა, იმის მაჩვენებელია, რომ პატარა მსახიობები ჩასწვდნენ ზღაპრის დედაარსს და თავიანთ თანატოლ მაყურებლამდეც მიიტანეს იგი. კიდევ ერთი რამ დაადასტურა ამ წარმატებამ — რომ უთუოდ სწორია „საფეხურების“ ხელმძღვანელთა მიერ აღებული გეზი და



ასეთი უშაბალო საუბარი ჩვირად იმართდა თვალრიში.

ბავშვებთან მათი ურთიერთობის ხასიათი. სპექტაკლში ლუდვიგს იასე ცინცაძე განასახიერებდა, მის უფროს ძმას, ლაბანს — მალხაზ სეფიაშვილი, მამას — ამირან სვიმონიშვალი, დედას — ეკა კვინიკაძე, უმცროს დას — მაკა კვინიკაძე (ეს ბავშვები თეატრის არსებობის პირველი დღიდანვე ირკცხებიან დაში); მათ გარდა სპექტაკლის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს რატი მგალობლიშვილმა, ლილე თამლიანმა, ნუკი თვარიაძემ, თეა ლეშკაშელმა. ბაგრატ მარგველაშვილმა. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა ნინო ჩიტაიშვილმა.

სულ ახლახანს „საფეხურებში“ მესამე სპექტაკლიც წარმადგინეს. ეს გახლდათ საახალწლო არდალეგებზე საჩვენებელად მომზადებული, თავისებურად გადაწყვეტილი „წითელქუდა“. თუმცა სპექტაკლში არის ცალკეული საინტერესო მიგნებები, იგი თავად რეჟისორებსაც და მსახიობებსაც ნაკლებად მოსწონთ, თვითონვე აღიარებენ — სხვადასხვა მიზეზების გამო ძალზე ნაჩეარევად. მცირე დროში მოვამზადეთ და კიდევაც ეტყობაო. ეს საკუთარი თავით უქმაყოფილებაც მათ სასარგებლოდ მეტყველებს და მომავალ-



მათი დიდ თეატრის აღ მიმდინარეობს რეპეტიციები ასე რაღისძანად.

შე უეჭველად უკეთეს და უკეთეს სპექტაკლებს გვპირდება.

„საფეხურების“ კოლექტივს, მის რეჟისორებს ბეგრი საინტერესო რამ აქვთ ჩაფიქრებული. განზრახულია, დაიდგას სპექტაკლი თანამედროვე თემაზე — „მე 13 წლისა ვარ“, რომელშიც დღევანდელი ბავშვების, მოზარდების საფიქრალ-საწუხარზე იქნება საუბარი. ეს, ასე ვთქვათ, უახლოესი მომავლის სპექტაკლია. პერსპექტივაში კი „ჭინჭრაქას“ დადგმასაც ფიქრობენ, უნდათ დადგნ „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“. „მერე კი, — ღიმილით ამბობს ალეკო თეთრაძე, — „პამლეტი“, — და იქვე დასძენს, — ვხუმრობ, რა თქმა უნდა...“

ვინ იცის, იქნებ მხოლოდ სანახევროდ იხუმრა ახალგაზრდა რეჟისორმა და ხვალ თუ არა, ზეგ „საფეხურების“ რეპერტუარში დიდი კლასიკაც გაჩნდეს. ჯერჯერობით კი აქ პატარები სათეატრო ხელოვნებას ეზიარებიან, ეცნობიან თეატრის ისტორიას, ეჩვევიან სპექტაკლის შემქმნელი კოლექტივის თთოეული წევრის მუშაობის გონივრულ შეფასებასა და პატივისცემას. ერთი სიტყვით, მათ აქ ნამდვილ მაყურებლებად ზრდიან და ოლბათ ეს არის მთავარი. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბევრი მათგანი „საფეხურებმა“ დიდ სცენაზე არ აიყვანოს.



თავადი აზრით, როგორ ზღვრას ახასიათებს რათ მყალობლივილი?



მისამ, მოეზონდ მაურიშელს პირველი გაცოცილება?



# საქართველოს მთალის



გერამ  
ვარაზანაშვილი

მხატვარი  
გადიგან ჰავაზაბაძე

მ მ თ ხ რ ო ბ ა

მაშინვე დაიჭიმა თოკი. ცოტა სწის შემდეგ გაიოზის კბილებმა გაიელვა. ნიკამ ხელი წააშველა ამხანაგს და ბაქანზე ამოსვლაში დაეხმარა.

— აქა მშვიდობა! — წამოიძახა გაიოზმა, — ჩემი მხურვალე ხალამი ამ კლდეებს, ლოდებს... ოპ, ბიჭო, რა კაი ყოფილა აქანა!.. ისინი კი — არ ახვიდეო. რომ დავეჯრებინა, ვინ ნახავდა ამ სანახავს?

ამასობაში დანარჩენებმაც რიგრიგობით იწყეს ამოსვლა. მაღლე ყველამ ერთად მოიყარა თავი.

— ამას რას ვხედავ, ბიჭებო! — ხელები ფართოდ გაშალა რეზომ, — თვალის სეირი თუ გინდა ესაა!

— კი ლირებულა აქ ამოსვლა ამდენ წვალებად! — თქვა ირაელიმ, რომელიც, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი, ბოლოს ამოვიდა, — ლამაზი გადასახედი ყოფილა. თქვენ რას იტყვით?

— გავმართოთ საბავირო გზა, და ვატაროთ ხალი ექსკურსიაზე! — გამოეპასუხა ვასტანგი. — ვინ არ წამოვა ასეთი სიმშვერის სანახავად?

— შენ ხუმრობ და ოდესებ შეიძლება მოხდეს კიდეც ამგვარი რამ, — მიუგო ვაჟამ.

კიდევ დიდხანს ისაუბრეს, ნაირ-ნაირი აზრი გამოიჰქვეს. ბოლოს ირაკლი ჩაერია, სინამდვილეს დაუბრუნა ისინი:

— ჯერ გამოვიკვლიოთ... მოვნახოთ ის ადგილი, რის-თვისაც ამოვედით...

— დავათვალიერე აქაურობა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინე, — თქვა რეზომ, — ისეა მოსუფთავებული, გეგონებათ ჩვენს მოსვლამდე ვიღაცას უზრუნია და ცოცხით საგულდაგულოდ გამოუგვიაო.

— შენც იტყვი, თვალი მიჭრისო, — გაეპასუხა ვაჟა, — აგერ, ქვეშში რომელიდაც მტაცებელი ფრინველის ბუ-

დის ნარჩენებსა ვხედავ. არწივს ანდა ორბს ექნებოდა ბუდე ჩადგმული. ამ სიმაღლეზე, თანაც მიუვალ ადგილზე, სხვა რომელი დაიდებდა ბინას.

ერთ-ერთი ლოდის გვერდით მართლაც ეყარა ხმელი ხავსი და ჩინჩხვარი. იქვე ბლომად მიმოფანტულიყო ბუმბული და წვრილი, მზეზე გადათეთრებული ძვლები.

მოსინჯეს და საგულდაგულოდ დაათვალიერეს ყოველი მტკაველი, მაგრამ საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინეს. ბოლოს, იმედგაცრუებულნი, ტახტიკით ბრტყელ ლოდზე ჩამოსხდნენ. მიხვდნენ, იოლი არ გამოდგა წარწერაში ამოკითხული აზრის ამოცნობა.

რაღაც ვერ იყო რიგზე, მაგრამ რა იყო ეს „რაღაც?“ პირველმა ვაჟამ დაარღვია დუმილი.

— იქნებ კარგად ვერ ავხსენით წარწერის შინაარსი? აკი ბევრი სიტყვა აკლია კიდეც... „კლდის თავზეო“... აგერ აქა ვართ და ეჭვმისატანს ვერაფერს ვხედავ.

— კიდეც მაგიტომ არის კერკეტი კაკალი, რომ ყველამ ვერ შეძლოს მისი გატეხა, — მიუგო გივიმ. — ასე ძალიან რომ არ გაფრთხილებოდნენ, იმ კოლოფს მიწაში არ ჩაფლავდნენ. ადგებოდნენ და პირდაპირ ამ კლდეზევ წარწერდნენ, — აქა და აქ, ამა და ამ ადგილზე მიბრძანდით და ნახეთო. როცა რაიმეს გულდაგულ მალავენ, ცხადია, მეტად თავსატეს გამოცანებს მოიგონებენ ხოლმე.

— შენ, ძამა, მეტისმეტად უნდო ყოფილხარ! — ფეხზე წამოხტა გაიოზი, — აგერ ქაღალდი! შიგ გარკვევით წერია! აქეთ ან იქითო! ასე არაა, უფროხო?

— დიახ, მარცხნივ ან მარჯვენივო, — დაუდასტურა ირაკლიმ და კვლავ მუხლებზე გადაშლილ უბის წიგნაქს დააკერდა დაფიქრებული.

— აქ ყველგან „მარცხნივ“ და „მარჯვენივა“, — გაიცინა ლევანმა, — მიდი და, თუ კაი ბიჭი ხარ, გაიგე რო-

მეღ მხარესაა. იქნებ შენ მაინც გამოიცნო, გაიოზ?! რომელ ჯერ დაადგინე მიმართულება.

— მე რომ შერლოკ ჰოლმსის ნიჭი მქონოდა, აქ კი არ ვიქნებოდი.

— ის კი ნამდვილად გამოიცნოდა, — დაუმატა ვახტანგმა.

— ძმანო, — თქვა გივიმ, — აქ რაღაც მინიშნება უნდა იყოს. აბა, ერთი მოვათვალი იერო რიგიანად. იქნებ რა-იმე გეზის მომცემი აღმოვაჩინოთ.

აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა, მაგრამ ხელშესახები ვე-რაფერი ნახეს. მაშინ ნიკა მახლობელ ვება ლოდზე აფოხდა, — აქედან უკეთესად დავინახავ, თუა რამეო.

ქვემოდან ვიღაცამ დაიძახა. მაშინვე კლდეს მიადგნენ, გადაიხედეს.

შორს, დაბლა, ქვებსა და ბუჩქებს შორის, ნინიკო და ბიჭი იდგნენ, ხელს უქნევდნენ.

— ჩვენი გუშინდელი მასპინძლები ყოფილან, — თქვა გივიმ, — ამოყვანასა გვთხოვენ.

— ამოყვანას? — დაეჭვდა ვახტანგი. — რისთვის?

— თუნდაც იმიტომ, აქაურები რომ არიან, — გაეპასეხა ირაკლი. — დაე, მაგათაც გადაიხედონ აქედან... ამას გარდა, ამბავსაც ჩაიტანენ სოფელში, ძველ ცრუ-მორწმუნოებასაც გამოეცლება საფუძველი. თოკი ჩაუშვით, ბიჭებო!..

მალე ორივე მაღლა ამოვიდა. ნინიკოს სპორტული რეიტუზი ჩაეცვა, მოხერხებულად გამოწყობილიყო.

ქალიშვილის დანახვამ ნიკას გული აუძერა, თუმცა გარეგნულად არაფერი შეიმჩნია. ისეთი მონდომებით ათვალიერებდა ირგვლივ გადაშლილ მიდამოს, თითქოს ამის მეტი არაფერი აინტერესებდა.

— საჭმელი ამოგიტანეთ, — თქვა ნინიკომ. — ბანაკში კი არავინ დაგვხვდა. მივწვდით, აქ იქნებოდით, თქვენ ხომ გუშინვე გადაწყვიტეთ ამოსვლა. ჩვენი სოფლიდან მე და გოგიტა ვიქნებით პირველნი, ვინც გაბედა აქ ფეხი დაედგა. დაბლიდან ხულ არა ჩანს ამგვარი... დედა, რა სილამაზეა! აქედან გადახედვას არაფერი ჯობია!.. იპოვეთ რამე? ნიკა მიამობდა, რაღაც საიდუმლო იმა-ლება ამ კლდის სახელწოდებაშიო.

ნიკა კვლავ გულმოდვინედ გაიყურებოდა შორეთი-საკენ, თითქოს ეს ამბავი მას არ ხებოდა. მხოლოდ გა-იოზმა ჩაავლო ხელი ქალიშვილს და უთხრა:

— მისმინე, ნიშანი რამ ხომ არ მდგარა აქ, ჩემო და-იქ? აი, ორიენტირს რომ ეძანიან. იქნებ გაიხსენო რაი-მა...

— ნიშანი? — ვერ გაიგო ნინიკომ. — რა ნიშანი?

— ჰო, ნიშანი, რამე ციხე იმ ხეობის აყოლებაზე; ან დიდტანიანი, ყველასაგან გამორჩეული ხე; ანდა დი-დი ლოდი, რომელიც მაშინვე შეეჩირებოდა კაცს თვალ-ში... დაფიქრდი, ჩემო დაიკო, ძალიან გვჭირდება ამისი ცოდნა.

შეფიქრიანებულმა ქალიშვილმა გოგიტას გადახედა, მაგრამ იმან მხრები აიჩენა.

— მახსოვს, პაპაჩემი ამბობდა ხოლმე — წანწარას

ხეობის აყოლებაზე, სადაც ახლა ფლატეა, სათვალოების კუშ-კის წვეროკინაზე ცეცხლს დაანთებდნენ ხოლმე და ისე ატყობინებდნენ ერთმანეთს განსაცდელოს.

რეზომ დურბინდით მოათვალიერა ხეობა.

— არაფერი არ მოჩანს.

— პაპაჩემისაგან ესეც ვიცი, — განაგრძო ქალიშვილ-მა, — ერთხელ მდინარე ძალზე ადიდებულა. მოვარდ-ნილ ნიაღვარს ძირი გამოუთხრია იმ კოშკისთვისაც. მე-რე ჩამოქცეულა და მისი ადგილსამყოფელიც კი წაშ-ლილა.

— ჩამონგრეული ფლატე ახლაც მოჩანს, — დაუდას-ტურა რეზომ. — იქნებ ის საცუშავო კოშკი იყო ორიენ-ტირი? ნიკა, აბა ერთი შენებურად დააკვირდი მანდედან!

ნიკა დიდხანს გასცემოდა, მაგრამ ვერაფერი აღმო-აჩინა და ძირს ჩამოსასვლელად მოემზადა.

— გადმოხტი, ნიკა, გადმოხტი! — დაუძახა გაიოზმა. — ვნახოთ, სად დაეცემო!

მოშორებით მწვანედ ჩამუქებული ადგილი მოჩან-და, ხავსითა და დაბალი ბალახით დაფარული. კიდეზე ამოსულ დაბალტანიან ბუჩქსაც პქონდა მიწაზე გართ-



ხმული ტოტები. ნიკამ იფიქრა, იქ უფრო რბილად და-  
ვავეშიო. მანძილი თვალით მოზომა, ისკუპა და, ამხანა-  
გების წამქეზებლურ შეძანილში, ზემოდან გადაევლო  
ბუჩქს, ზუსტად ბალახმოდებულ აღგილზე დაეცა. დაე-  
ცა და ისე მოულოდნებლად გაქრა, თითქოს მიწამ უყო  
პირი და ეგრევე გადაყლაპაო.

თავზარი დაეცათ ბიჭებს, ხმა ჩაუვარდათ. დაბნეულ-  
ნი მისჩერებოდნენ იმ ადგილს, წუთის წინ მწვანე ხა-  
ლიჩასვით რომ გართხმულიყო კლდოვან ნიადაგზე.

იმ ადგილზე ახლა ვეება ორმოს დაეღო შავი ხახა...

### 7. საიდუმლო კარი იღება

— ესეც თქვენი საიდუმლო შესასვლელი! — წამოი-  
ძახა ლევანმა, როცა შიშისაგან გამოერკვა.

— შესასვლელი კი არა, ჩასასვლელი! — შეუსწორა  
გაიოზმა.

ქვემოდან ყრუ ხმაური და კვნესა მოაწყდა ხვრელის  
პირს.

ბიჭებმა თავი დახარეს, მიაყურადეს.

— ნიკა, ნიკა! — ჩასძახა ირაკლიმ, — როგორა ხარ,  
ბიჭო, ხმა გაგვეცი!

პასუხად კვლავ სუსტი კვნესა მოესმათ.

ახალგაზრდები შეშფოთდნენ.

ფარნის წალება დაავიწყდა. გარშემო ისეთი წევარაში  
იდგა, ვერაფერს ხედავდა. ქვემოდან კვლავ მოისწა-  
კვნესა. შეეხმიანა:

— სადა ხარ, ნიკა!

— აქა ვარ! სად ჯანდაბაში ვიქნები? — შემოესმა.

— რა არის მანდ?

— ქაჯების თავშესაფარი!.. ისეთი უკუნეთია, ვერა-  
ფერს ვხედავ!

რეზოს ელექტროფარანი ჩაწოდეს და თავადაც  
უკან მიჰყვნენ. ყველამ კლდეში გამოჭრილ მომცრო  
ოთახში მოიყარა თავი.


ნიკა ქვის იატაკზე წამომჯდარიყო, ფეხს იზელდა.  
გივიმ ხელი მოჰკიდა, წამოყენება დაუბირა, მაგრამ ნი-  
კამ ისეთი შეჰყვირა, გულგახეთქილმა ცივად უშვა ხე-  
ლი.

— წყეულიმც იყოს!.. — კვლავ აკვნესდა ნიკა. — მგო-  
ნი ფეხი მოვიტეხე!

ირაკლი ახლოს მიუჩოჩა, შარვლის ტოტი ფრთხი-  
ლად აუწია, ნელა, თითების მონაცვლებით დაუწყო გა-  
სინჯვა. კოჭიან რომ მოუჭირა, ნიკა მტკიცნეულად და-  
იღირიჯა.

— აქ გტკივა?

— ცეცხლი მიკიდია!



ნინიკოს სახე გაუფითრდა, კბილები ღრმად ჩაასო  
ტუჩის კიდეს, რომ არ წამოეყვირა.

საჩქაროდ უნდა ჩასულიყვნენ და მიხმარებოდნენ.

ქვისგან გამოკვეთილი კიბე ჩასდევდა ქვევით და  
სიბნელეში იკარგებოდა. არავინ უწყოდა, რა იყო იქ,  
სიღრმეში.

— არ შეშინდე, ნიკა!.. მოვდივართ! — რეზო კიბეს ეცა,

6 საფეხურებზე დაიწყო დაშვება. სიჩქარეში ელექტრო-

ირაკლიმ კიდევ გასინჯა, მერე განაცხადა:

— ნაღრძობია, კოჭია ამოვარდნილი. ცივი კომპრესია საჭირო. მაღლა უნდა აგიყვანოთ...

— არა, არა! — ხელები გაასავავა ნიკამ, — ორივე ფეხიც რომ მომტეხოდა, აქედან წამსვლელი არა ვარ! ვერა გრძნობთ, ბედმა სად ჩამომაგდო? თავდაპირველად მეგონა, სადღაც უფხერულში მივექანები-მეთქი. ზღაპრებში როა, ისე იყო სწორედ. ეშმაქმა დალახვროს!

ახლალა გამოერკვნენ და დაკვირვებით შეათვალიერეს დარბაზი. თლილი კედლები საქმაოდ მაღალ თაღს ქმნიდა. ოთახი ერთგან კარით ბოლოვდოდა და ყველას იქით გაექცა მზერა.

კარის სიახლოეს, ვეხა ტახტისმავარ ქვასთან ადამიანის ჩონჩხი ეგდო. იქვე, კედელზე, გრძელი შუბი იყო მიუყდებული. ქვაზე რკინის ჩაფხუტი, ფარი და მახვილი იდო. ყოველივე ამას აგვირგვინებდა კედელში ჩარჭობილი, ნახევრად ჩამწვარი მაშხალა.

შეშინებული ახალგაზრდები ერთმანეთს აეკრნენ. საიდან გაჩნდა აქ ადამიანის ჩონჩხი?

ვის ეკუთვნოდა იგი, მტერსა თუ მოყვარეს?

ოთახის ბოლოს დატანებული გასასვლელი თავისეკენ იზიდავდა, უცნობი სამყაროს სანახავად უხმობდათ ახალგაზრდებს. ყველას ერთბაშად მოუნდა გაეგო, რა იმალებოდა მის მიღმა.

— ნიკა, სიარული შეგიძლია? — შეეკითხა ირაკლი.

— არა, — დაიმანჭა ნიკა. — ძალიან მტებს.

— მაშ აქ მოგვიცადე, ჩვენ კი გავარკვევთ, რა არის იმ კარს იქით.

— ამ ჩონჩხის გვერდით? — შეეცადა, იქით არ გაეცედა.

გაიოზი წინ წამოდგა.

— რაო, ძმობილო, შეგეშინდა? ამხელა ქვესკნელში ჩამოტი დაუფიქრებლად და ახლა მაგ ანატომიური ქველების გროვამ დაგზაფრა კაკალივით კაცი?

— მე დაკრჩები მასთან! — განაცხადა ნინიკომ. — მე და გოგიტა. ხომ დარჩები ჩვენთან, გოგიტა?

— დაკრჩები, — ისეთი ხმით მიუგო ბიჭმა, ეჭვი იყო, მასაც ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა იმალებოდა იმ ღია კარის მიღმა.

— აბა, თქვენ იცით, არ მოიწყინოთ, — დაარიგა ისინი ირაკლიმ, — ჩვენს მოსვლამდე, ეცადე, არ იმოძრაო, ჩვენ დაგრძნდებით და სულ ხელისგულზე გატარებთ. შენ ისეთი აღმოჩენა მოახდინე...

— აბა, აბა! მოგვიცადე, ძამა და, მერე თუნდა სულ ვარხალალათი აგიყვანთ ზევით, — დაუმატა გაიოზმა, — არ გეჟუთვის დაფასება, თუ?

— წავედით! — ირაკლი წინ გაუძლვა ბიჭებს და მაღლე ყველა კედლის მიღმა გაუჩინარდა.

## 8. მიზისვეზოთის საოცრებანი

მცირე ხანს უსიტყვოდ იარეს გამოქვაბულში. ასიოდე მეტრის იქით კვლავ ვიწრო, დაქანებული კიბე დახვდათ, რომელიც მიწისქვეშეთში იკარგებოდა.

— ჰადესის სამეფოში მივდივართ, ძმებო! — გაიხუმრულევანმა, — აჩრდილები უნდა მოვინახულოთ. პისტორიუმი

— მოიცა, რა დროს ხუმრობაა, — შეაჩერა ოხუჯობის გუნებაზე დამდგარი ამხანაგი გივიძ. მერე სერიოზული ხმით იქითხა: — ჩვენ მართლაც არ ვიცით, სად მიმერთება ეს კიბე. როგორ მოვიქცეთ, ირაკლი, ჩავიდეთ, თუ არა?

— თქვენ რას იტყვით, ბიჭებო? — იქით შეეკითხა ირაკლი დანარჩენებს.

— უნდა ჩავიდეთ! — ყველას მაგიერ რეზომ უპასუხა. — რატომ უნდა შეგვაჩეროს იმან, რაც ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ მაღლე ნათელი გახდება?

რეზომ სხვებიც მიჰყვნენ. კიბე ვიწრო და დამრეცი იყო, ძლივს ინაცვლებდნენ ფეხს, თან საკმაო სიგრძისაც გამოდგა. გივიძ სცადა საფეხურების დათვლა, მაგრამ აერია და თავი მიანება. ბოლოს კიბემ ისინი ფართო და მაღალ დერეფანში ჩაიყვანა.

ელექტროფარნების სინათლე კედლებზე დაცოცავდა, ახალ გასასვლელს ეძებდა. მართლაც, ერთგან, გვერდით კედელში, კაცის სიმაღლე ვიწრო შესასვლელი ნახეს გამოჭრილი. მაშინვე შიგ შევიდნენ.

შევიდნენ, მაგრამ ისეთი დიდი იყო გაოცება, კარგა ხანს ფეხი ვეღარ მოიცავალეს. ენაჩავრდნილები მისჩერებოდნენ თვალწინ გადაშლილ საოცრებას.

მათ წინ მოგრძო თოხეუთხედის მსგავსი ოთახი იყო კლდეში გამოკვეთილი. სუფთად ჩამოთლილს თაღისებურად გადმოფარებოდა მაღალი ჭერი, რომელიც აქაი სხვადასხვა მინერალისგან აელვარებული, ვარსკვლავიანი ცის მსგავსად ბრწყინავდა. მაგრამ ეს არ იყო მთავარი.

შორეულ კედელთან პირდაპირ იატაქზე დახვავებულიყო უამრავი წიგნი, გრავნილი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ნაჩქარევად შემოეზიდათ ყველაფერი, ან შეიძლება გატანას ცდილობდნენ, მაგრამ ვეღარ მოასწრეს და მიატოვეს.

ბიჭები მონუსხულებივით მისჩერებოდნენ დაყრილ სიმდიდრეს. ვინ იცის, რა ეწერა ამ, დღის შექმიუკარებელ სქელყდიან წიგნებსა თუ გრავნილებში? შესაძლოა ისეთი რამეც, რაც მხოლოდ გადმოცემებით თუ იცოდნენ, ანდა საერთოდ აღარავის ახსოვდა.

— ხელი არაფერს ახლოთ! — წაიჩურჩულა ირაკლიმ, — ახლოს არ მიეკაროთ, ბიჭებო! დავტოვოთ ისევე, როგორც ვნახეთ...

— ოპერე! — მკერდზე მჯიდი დაირტყა ვახტანგმა, — ასე მგონია, სიზმარში ვარ, ანდა ჯადოსნურ ზღაპარში მოვხდი. აი, საკუთარი თვალით ვუყურებ ყველაფერს და მაინც არ მჯერა! იქნებ ყველას გვძინავს კიდეც. იქნებ ყველანი ისევ კარვებში ვართ და ვოცნებობთ?!

— შენ, ძამა, ნამეტანი ურწმუნო ყოფილხარ, — გაეპასუხა გაიოზი, — ყველანი ერთნაირ სიზმარს როგორ ვნახავდით!

— განა მე კი არ ვიცი, მაგრამ... სხვას რომ ეთქვა, ურჟენტელად ჩავთვლიდი... ვინ არ ინატრებდა აქ ყოფ- 7



ნას! ხამწუხარო მარტო ისაა, ხელის შეხება რომ არ შეგვიძინოთ.

— აქამდე მოაღწია, თავისი საიდუმლო შემოგვინახა, ახლა ვეღარ უნდა მოვითმინოთ? — შეეკამათა ვაჟა, — შენ იცი, რა მოხდა ერთ-ერთი სარკოფაგის გახსნისას?

— რა მოხდა?

— როგორც კი თავი ახადეს, პაერმა ყველაფერი მტვრად აქვია. შესაძლოა უნებლიერი შეხებამაც რაიმე ავზოა... ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, დანარჩენი სპეციალისტებს მივანდოთ.

კიდევ დიდხანს დაბორიალობდნენ აჩრდილებივით, ფრთხილობდნენ ფეხი არაფრისათვის წამოერათ. აღარ ეთმობოდათ, მაგრამ ლევანმა აიჩემა, ბარემ ბოლომდე გამოვიკვლიოთ დერეფანიო.

ისევ გარეთ გამოვიდნენ. თითქოს მეტს აღარაფერს მოელობდნენ, მაგრამ რაღაც ძალა კვლავ წინ ეწეოდათ. მცირე მანძილი გაიარეს და ხელახლა მიადგნენ კედელში დატანებულ შესახლელს. ამჯერად ხის კარი მისურული იყო. წამიერი შეყოვნების შემდეგ ირაკლიმ ერთბაშად შეაღო კარი. შეაღო და მაშინვე სხვა სამყაროში მოხვდნენ.

მოზრდილი დარბაზი ერთიანად მოხატული იყო. გარევევით მოჩანდა კედელში დატანებული ნიშები, ქვის სკამები.

— სადა ვართ? — წაიჩურჩულა გივიმ და თვალებგაფართოებული მიაჩერდა გუმბათისებურ ვეება დარბაზს, რომლის კედლებიდანაც ნაღვლიანი თვალებით გამოიმზირებოდნენ წმინდანთა მშვიდი სახეები. კედლები ალაგ-ალაგ სანთლის ალს გაერუჯა.

— სამლოცველო, ბიჭებო! — თავი ვეღარ შეიკავა რეზომ, — ჩვენ მიწისქვეშეოთის საიდუმლო ტაძარში მოვხვდით.

ელექტროფარნების შექი კედლიდან კედელზე გადადიოდა და ახალ-ახალი საოცრებანი გამოპქონდა სინელიდან.

საკურთხევლის სპეციალურ ნიშებში, ზიარებისათვის განკუთვნილი ბარძიმ-ფეხშემი, ვერცხლისა და ოქროს შანდლები, მოჭედილი ხატები, კოხტად და კეცილი სასულიერო მამათა შესამოსელები ელაგა...

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს აგერა-აგერ გავიდნენ აქედან და ყველაფერი ხელუხლებლად დატოვესო...

როცა გული იჯერეს და გარეთ გამოვიდნენ, ვახტანგმა ვეღარ მოითმინა, შთაბეჭდილება გაუზიარა მეგობრებს:

— ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს უტიფრად შევიჭრით რაღაც სიშინდეში, რომლის არსებობაც ყველას არ უნდა სცოდნოდა.

— მე კი მეგონა, — სევდიანად დასძინა ლევანმა, — სადაცაა შემოვიდოდნენ ძვირფას სამოხელში გამოწყობილი მამები სანთლებით ხელში და შევეკითხებოდნენ, ვინა ვართ, რა ვინდა აქ, რამ მოგვიყვანა მათი სიმშვიდის საუფლოში! ტანში გამცრა, ეს რომ გავიფიქრე.

## 9. დაბრუნება

ამასობაში ნიკას ფეხი შეუსივდა. დაუინუბრებოდნენ ნის შემდეგ ნინიკომ და გოგიტამ დიდი გატარებულები აიყვანეს კიბეზე. ჩოხჩის გვერდით ყოფნაც ვერ აიტანეს, — შეეცადნენ დროზე გასცლოდნენ.

მიწისქვეშეოთი ჩასულებისა ბაიბურიც არ ისმოდა, თითქოსდა, ხახადალებულმა შავეომა გადაყლაპათ.

ზემოთ სუფთა პარი და მოალერსე ნიავი დახვდათ. მორეულ ქედთან გაწოლილი ღრუბლები ბამბის ქულებს დამსგავსებოდნენ. ისეთი ფუმფულები მოჩანდნენ, გეგონებოდა, ლეიბივით ზედ რბილად გადავგორდ-გადმოგვორდებიო.

დრო ნელა გადიოდა. ნიკამ თავისი მაისური დახია და ნინიკომ იმით შეუხვია მტკივანი ფეხი.

გოგიტა კლდის პირზე ჩამომჯდარიყო, უხმოდ გაკურებდა ხეობას.

ესეც შენი „არ ახვიდე!“ ამოვიდნენ კიდევაც და რაღაცასაც მიაგნეს. მაგრამ სად დაიკარგნენ ამდენ ხანს დანარჩენები?

შუადლე გადაიწურა, სამხრობამაც მოატანა. სასიამოვნო სიო აგრილებდა ავეისტოს ბოლოს ჩამომდგარ ხვატს. სამივე შემაშფოთებელი მოლოდინით უცდიდა მოლაშქრეთა გამოჩენას.

გოგიტამ რამდენჯერმე დაკირვებით გახედა ნიკას, მტკივან ფეხზე შეაჩერა მზერა. მერე მოულოდნებულად წამოხტა, კლდის კიდესთან მიიჭრა და ისე, რომ არა-ფერი არ უთქვამს, თოკს ხელი ჩავლო და ჩასვლა დაიწყო.

ამ ამბავმა გააოცა ნიკა და ნინიკო. ძახილს მოპყნენ და უკანვე მოუხმობდნენ ბიჭს, ევონათ, რაღაცამ განაწყენათ, სხვა ვერაფერი იფიქრეს მისი მოქმედების გასამართლებლად. გოგიტამ ხმა არ გასცათ, ხოლო, როცა ძირს დაეშვა და ბუჩქებს შლიგინით გასცდა, ნინიკო დამბაშვის ლიმილით მიუბრუნდა ნიკას და ძმის უცნაური საქციელის ახსნა სცადა:

— ყოველთვის ასეთი თავისინათქვამაა. ვერ გაიგებ, რა მოეპრიანება უცებ. არაფრით არ გეტყვის წინასწარ, თუ რაიმე განიზრახა...

— ალბათ რაიმე გადავიწყებული საქმე მოაგონდა, — უხერხული მდგომარეობის დაფარვა სცადა ნიკამ, — ჩვენთვის რომ გაენდო, აბა რას უშველიდით.

— რა იქნება, მაგან რომ არ მოიფიქროს, — უკვე დამშვიდებული ხმით განაგრძო ნინიკომ. — ეზო მაგისი მოტანილი ათასგვარი ხარახურითა გავსებული. შინაურები ყოველდღე ებუზღუნებიან, ეგ კი აინუნშიაც არ აგდებს. „ოქროსხელიას“ ეძახიან ჩვენს უბანში. თუ კი ვინძეს რაიმე დაუზიანდა, რადიოლა, მაგნიტოფონი, ტელევიზორი თუ მაცივარი, მაშინვე გოგიტას ეძახიან: მარტო ეგ თუ უშველის რამესო. სკოლაშიც სულ მაგისი გაკეთებული აპარატები უკიდიათ. ამას წინათ ტრაქტორი გაუჩერდათ და ვერავინ უშველა. ისევ მაგან იპოვა გაფუჭებული ნაწილი. ყველა ემადლიერება...

— ყოჩალი ბიჭი ჩანს, — ნიკას ამ ლაპარაკში გადავიწყებოდა ნატევნი ფეხი, — ყოჩალი და თავისებური.



— თავისებური კი არის... ეტყობა, რაიმე მნიშვნელოვანი საქმე გაახსენდა, თორემ არაფრით არ მიგვატოვებდა. — დაუმატა ნინიკომ.

მცირე ხანს კიდევ ილაპარაკეს და მერე მიყუჩდნენ. ნიკას ისევ გაუხსენა ფეხმა. კოჭში საშინლად ტეხდა. ვაჟაცური თავდაჭერილობით ცდილობდა ქალიშვილთან თავის შეკავებას. ადრე ეგონა, დავისელთებ თუ არა ნინიკოს, გავუმედავნებ იმას, ძისი დანახვისთანავე რომ ვიგრძენიო, მაგრამ ახლა, პირისპირ მარტო დარჩენილს, საჭირო სიტყვები ერთბაშად გამოუფრინდა თავიდან და გაუბედაობამაც დარია ხელი.

ნინიკო კი იჯდა გარინდებული, შორეთს მიჩერებული.

უხერხელი სიჩემე ჩამოწვა, უხერხელი და აუტანელი.

მალე მიწის სიღრმიდან ამომავალი ხმაური შემოქმედათ და გულზე მოეშვათ, თავისუფლად ამოისუნთქეს...

პირდალებული ორმოდან ერთიმეორის მიყოლებით ამოყვეს თავი შავეთში ჩაქარცულებმა. დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი სახეები უღიმოდათ.

— სამახარობლო, ნიკა, სამახარობლო ვეერგება! — დაიძახა ირაკლიმ. მოვიდა და მოეხვია მეგობარს. — შენი აღმოჩნა მთელ ქვეყანას ააღაპარაკებს. უნდა გვაპატიო, ამდენი რომ გაღლოდინეთ... ვერ წარმოიდგენ, რა საოცარ სამყაროში მოვხვდით. დრო სულ გადაგვავიწყდა...

მოკლედ მოუთხრეს ნანახისა და განცდილის შეხახებ. ძლივს დაარწმუნეს აღლელებული ამხანაგი თავიანთ ნაამბობში. ირაკლი ცოტა ერკვეოდა მედიცინაში, შესთავაზა, ფეხს გაგიჭიმავო. ვახტანგი და რეზო მხრებში ჩააფრინდნენ, ირაკლიმ კი ლონივრად გასწია. გაისმა დამახასიათებული ტაცანი და ნიკამ შვება იგრძნო.

მერე აიტეხა, უნდა ჩავიდე და საკუთარი თვალით ვნახო ყველაფერიო. ირაკლიმ ძალით დასვა, — კოჭი ახალი ჩამჯდარია ბუდეში, აცადე მიეჩიოს, ხელახლა არ ამოიგდოთ.

— მალე აქ ისეთი ამბავი დატრიალდება, ორი კი არა თხი ფეხიც დაგვჭირდება თითოეულს, ჩვენ მეგზურე-

ბი ვიქნებით. ქვეყნის მეცნიერები ჩამოვლენ... მაგრამ, დროს წინ ნუ გავუსწრებთ. ძირს დავეშვათ, მეგობრებო, ჩვენს კარვებსაც მივხედოთ. ცოტათი შევნაყრდეთ კიდეც. მოიტათ თოკი, ნიკას შევაბათ წელზე. არა, არა! ჯერ ვინმე ჩვენგანი დაეშვას, — იქაც ხომ დასჭირდება მიხმარება... მოდი, ნინიკო წინ გავუშვათ, ჩვენს მისვლამდე რაღაცას მოვეიმზადებს. გოგიტა რაღა იქნა. მოთმინება არ ეყო, ჩვენს დაბრუნებას დალოდებოდა?

— მე ახლა ცუდად არ გამიგოთ, მარა ნინიკოს ძრობის ამბავი რომ ვიცი, მჯერა, კიდევ მოიწველიდა რაღაც-რაღაცებს, — სახე გაებადრა გაიოზს, — კარგად დავუცადეთ იმისი ფეხი.

ჯერ ნინიკო ჩაუშვეს, მას ვახტანგიც მიჰყვა. დიდი სიფრთხილით ჩაუშვეს ნიკა, თუმცა ხუმრობით უძალიანდებოდათ კიდეც: ხვალ ხომ ხელახლა უნდა ამოვიდეთ და ბარემ აქვე დამტოვეთ. თანაც ჩემზე საიმედო დარაჯს ვერსად ვერ იპოვნითო.

როგორც იქნა ძირს ჩავიდა ყველა და ახლა იმაზე დაიწყეს დავა, როგორ გადაუყვანათ ნიკა ბანაქში. ამხანაგების ზურგით „გასეირნებაზე“ ნიკამ სასტიკი უარი განაცხადა. ბიჭებმა ჯოხები შესთავაზეს — ყავარჯნად

# „ტრუქნა“

## ცეკვა

### კილების გამოცდა

გამოიყენეთ, მაგრამ ამგვარი სიარულით დაღამებამდე ეერ მიაღწევდნენ კარვებს. მათ კი ერთი სული პქონდათ, როდის გააგებინებდნენ ქვეყანას თავიანთი აღმოჩენის ამბავს.

ამ კომანში რომ იყვნენ, მოულოდნელად ხმაური შემოესმათ. მალე ბუჩქებიდან გოგიტა და ორი მისი კბილა ბიჭი გამოვიდნენ. მხარზე გადებული გრძელი საგანი მოჰკონდათ. ახლოს როცა მოვიდნენ, გაშალეს და მშვენიერი საკაცე კი აღმოჩნდა, სულ ახლახანს შეკრული. ძალად დაწვინეს სახელდახელო ტახტრევანზე ნიკა, მერე ოთხმა მეფობარმა ასწია, მხარზე გაიდეს ხელნები და ბანაკისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ.

ირაკლიმ შეაქო წინდახედული გოგიტა და მისი ამხანაგები, ხოლო გრძნობამორეულმა გაიოზმა აღტავებით შესძახა:

— გზა, გზა მოგვეცით, ეკალ-ბარდებო, ქვა-ლორლებო... გზა მოგვეცით-მეთქი! მეფისწული მოგვყავს, მეფისწული! — ყვიროდა და თან აქტ-იქით ჯოხით სცემდა ბუჩქნარს. — დამიჯერეთ, მალე აქ ისეთი შარა გაიჭიმება, შენი მოწონებული!.. შენ კი, ძამა, რომ წამოჭიმულხარ მანდ თათრის ყენივით, შემოსძახე რამე შენებურად, თორემ ბანაკამდე კაი მანძილი გვაქვს გასავლელი და, მანამ მივალთ, კი გაგვძვრება ცხრა პირი ტყავი ხელებზე. ნინიკოს გაშლილი სუფრაც ვეღარ გვიშველის, თუნდაც პაპამისის გამოგზავნილი, სასმელით სავსე დოქიც შემოდგას მავიდაზე, ჩვენი დღევანდელი თავგადასავლისა და ხვალინდელი დღის გაგრძელების სადლეგრძელო რომ დავლით.

ცოტა ხნის შემდეგ ისტორიკოსებს გოგიტა და მისი ამხანაგები შეენაცვლნენ და ნიკა ბანაკში მიაბრძანეს, სადაც მათ დიდი ხანია მიელოდა ნინიკო.

რომ დანაყრდნენ და ცოტა სული მოითქვეს, გოგიტამ ირაკლი მოტოციკლით წაიყვანა რაიონულ ცენტრში. მან იქიდან დეპეშები გაგზავნა უნივერსიტეტში, ისტორიის ინსტიტუტში და მეცნიერებათა აკადემიაში, მოკლედ აცნობა მომხდარის თაობაზე.

— ოჟო — ჟო!.. ხომ წარმოგიდგნიათ, რა ამბავი ატყდება! — იცნებამორეული ხმით დაიწყო ვახტანგმა, ირაკლი რომ დაბრუნდა. — ხვალიდანვე უნდა მოვემზადოთ სტუმრების მისალებად. ვინ იცის რა საიდუმლოს ახდის ფარდას ჩვენი აღმოჩენა.

ვახტანგი მართალია, — დაუმოწმა ყველა. — თადარიგი გვმართებს...



მოუსვენარი ხალხია ეს გოგო-ბიჭები! ერთი შეხედვით, უზომილ გადატვირთულებს სწავლით, პიონერული და კომუნიკიტული მუშაობით, თითქოს სხვა არაფერზე ფიქტის დროც არა აქვთ. და მაიც გამოიძინან ხოლმე სხვა საინტერესო საქმეებისათვის დროსაც და ენერგიასაც. თვითონ ეძებენ ასეთ საქმეებს. საქმარისია ითქვას, რომ არც-თუ ისე დიდი ხნის წინათ აღმოცნებულმა მოძრაობამ ინტერნაციონალური მეცნიერების კლუბების 088 შესაქმნელად დღეისათვის საერთო საკავშირო განვითარება მიიღო. ბავშვებს უნდათ, რაც შეიძლება მეტი იცოდნენ თავიანთ თანატოლებზე სხვა რეპუბლიკებში, მხარეებში, დიდ ქალაქებსა თუ პატარა სოცილებში, იცოდნენ მათს ინტერესებსა და მისწაუებებზე. ცოდნის მოწადინებამ მოუხმო მათ, მონაწილეობა მიეღოთ ამ ინტერნაციონალურ ლაშერიბობაში.

„ვიქონიოთ მიმშერა“, „დაგვისახელეთ თანატოლთა მისამართები“, „გვინდა, უფრო მეტი ვიცოდეთ თანატოლთა შესახებ“. — ამ ლაკონიური მოწოდებითაა სავსე წერილები, რომლებსაც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან თუ სოციალისტური ქვეყნებიდან გზავნიან მოზარ-

რებას, რჩევასა და თანადგომ-  
მას.

მინსკის ოლქის ქ. ვოლფი-  
ნის № 2 სკოლის მმართველის „მე-  
რიდანის“ წილრები გაწერენ:  
„გოთხოვთ დაგვეხმაროთ, რომ  
მოვაზდინოთ ჩვენი მუშაობის  
კონტინუირება გარდაქმნის ს-  
როის ახალ მოთხოვნილება-  
თა შექმნება“.

კულტურობით, ბავშვები სა-  
კითხს დროულად და სწორად  
აყენებდნ. გარდაქმნა, რომე-  
ლიც ჩვენი საზოგადოების  
ცოცხლების ყველა სფეროში  
მიმდინარეობს, იმათ-ის მუშა-  
ობასაც ეცება.

ହେବ ଫ୍ରାନ୍ସି ମତାଗାରିବା, ଆଜା-  
ଲ୍ପାଖରଦିନରେ ସାକ୍ଷିତ ଦ୍ୱାରାନ୍ତର୍ଗ୍ରହଣ ହେବ, ମିଳିପ୍ରେ ମିଳ ସାନ୍ତ୍ରକ୍ରମେ  
ଏ ଶାଶକର୍ମବଳମ ଶାଖୁଶାଳୀ! —  
ଏ ଅଧିକ ମତରେ ଶାପୁଚାଳିତ  
ଦ୍ୱାରାନ୍ତର୍ଗ୍ରହଣ ହେବ. ଅଲ୍ପକ୍ଷ X X  
ୟକ୍ରମବଳି କ୍ରିଯୋଦୟାଙ୍କ. ତା-  
ବୋ ଶାନ୍ତିଗାରିଶିଳ ମନ୍ଦିରରେବାଦିଶି  
ହେବ. ଅଲ୍ପକ୍ଷ ଉତ୍ତରାଲ୍ଲାରୀ କାମ-  
ମିଶ୍ରକ୍ରମି ତିର୍ଯ୍ୟକିତିମା ମଦ୍ଦାନିମି  
ବ୍ୟକ୍ତିମା ମିଳନ୍ତେନ୍ଦ୍ରନିମ ଅନ୍ତିମ-  
ନା: „ସାକ୍ଷିତ ଦାବିଦେଖିବାକୁ  
ଏ ଯୁଦ୍ଧରେ ହେବନ୍ତାକି ପାର୍ଶ୍ଵକୁ ବାହ୍ୟରେ  
ଅନ୍ତର୍ଗତିରେ ଶାଖିଗ୍ରେ”.

Ոթց-ըրծն աշխաղութեան տա-  
ցանտ հոգեցի ոչուզաւըն թը-  
շամքեան և պատահան  
սատացուն սպամից լուրիցըն։  
մացալուտագ, ցրունու ռույնու  
ջուզեսուն հասունու սուզուլ եր-  
լուցու վարարա կյուղաւու թու-  
թանձն օնթերենացունալու հու ո  
թըշամքեանուն կլունց ՝ „ցլու-  
թանցուն։“ ծացացեմա այ ամասից-  
նա մանցպացը տամաւուցիւրու-  
հունա, „հա՞ սադ? հունուս?“,  
հումելուց ցըրմանուն օքմոյ-  
հատուու և պաւարացուուլ հը-  
կանականուն կըցեցի ուժուացա, և  
սուլուզահուն ծակիրամա. Ցը-  
ցրուուլու ան մանցու թշպո-  
ւանուն պանձնու գաճարուկբես.  
„ցլութանցուն։“ արուու ուս դո-  
ւու ենուն, հաւ կըցիմնա և էր  
ծըցըրու արագուրու գայուցուեմա,  
մացիւամ ամ Ոմք-ուն արեկուցե-  
րու հուման լուսու ցըցիրս։  
„միշառած գայագարուուց և  
ուղուրու մասեկանուրու հաշուաու.

ამიტომ ბავშვებს უნდათ, გა-  
ეცნონ სხვა კლუბების გამოც-  
დილებას”.

ჩევნის ქუცანაში მოქმედებს დაუწერელი კანონი: მოწინავე გამოცდილება საჭიროდღირების საკუთრებას. ეს იგდ-ის მუშაობაზეც ვრცელდება. უკანალ „დოკუმენტის“ განხირაული აქვს თავის ფურცელებზე გამოაქვეყნოს მასლები საინტერესო კლუბების მუშაობის შესახებ, დაწრილებით უამბოს მკითხველებს მათს პრობლემებსა და მიზნებსზეც. უკვე გაკეონდას და მომავლის გეგმებზე. სამუშაო ბევრი ბიურია!

1989 წლის ზაფხულში ფეხ-  
ნიანში — კორეის სახალხო-  
დემოკრატიული რესპუბლიკის  
დედაქალაქში გაიმართება ახა-  
ლგაზრდობისა და სტუდენტ-  
თა XIII საოცნელო ფესტივა-  
ლი. ეს იქნება აზიაში პირვე-  
ლი ფესტივალი. ამ ფესტივა-  
ლისათვის მზადებამ ახალი იმ-  
პულსი მისცა ინტერნაციონა-  
ლური მეგობრობის კრუბების  
მუშაობას. აյ აწყობენ საუბ-  
რებასა და ვიკტორინებს საჯე-  
სტივალო მოძრაობაზე, შეს-  
ვერებს მოსკოვის XII მსო-  
ფლიონ ფესტივალის მონაწილეობას,  
მოლიტვური სიმღერებისა და  
რესტორანის მომზადებას.

სარედაქციო კოლეგიის ბოლო სხდომაზე, როცა განვიხილავდით ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო უესტრივალისათვის მზადების საყითხებს და წერილებს ინტერნაციონალური მეცნიერობის კლუბების მუშაობის შესახებ, წამოაყენეს წინადაღება, ჩავატაროთ კონკურსი: „გვიამბე ბებ-ზე“. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ჩავატაროთ ასეთი კონკურსი და მყითხველთა ხელშეწყობით უზრუნველის ფურცლებში გახსნათ ახალი რეპრიკა ინტერნაციონალური რი

მეგობრობის კლუბების მუშა-  
ობის შესახებ.

ამიტომ შეიმართავთ უურნალ „დრუჟბას“ დღევანდელ და მომავალ მკითხველებს.

— რა დავარქვათ ჩვენს რუ-  
ბრიყას იმპ-ების მუშაობის  
შესახებ?

— მოიცავეთ და გამოგ-  
ვიგზავნეთ ნახატი, რომელიც  
შეიძლება გასდეს ამ რუბრი-  
კის ეტბლება;

— მოგვწერეთ თქვენი იმპ-  
ის მუშაობაზე, იმაზე, თუ რა  
წინასაფეხსრივალო მუშაობას  
ატარებთ (ყველაზე საინტე-  
რესო წერილები აუცილებ-  
ლად გამოკვეთნდება);

— შეგვატყობინეთ იმ იმპ-  
ების მისამართები, ვისთანაც  
მიმოწერა გაქვთ.

წერილები გამოგზავნეთ მისამართით: 125015, მოსკოვი, ნოვოლემიტროვსკის 5 ა, უფრნალ „დორუბას“ რედაცია.

ଏହାଙ୍କପରିବ ମିଳିବାରଟିକେ ଶ୍ରୀ  
ଗୋଲାଳ ଗାଥିଗ୍ରହିଂକାର, ଏଗରୁ  
ତବ୍ର, ସାହେବଶ୍ରିଗାଲନ ଶ୍ରୀଗନ୍ଧି  
ରୀଦି ଓ ତାପିନାନ୍ଦାରୀନ୍ଦ୍ରବ୍ଦୀ  
ଯେତୁଠିବାଲିବ ଚିନାଲଦ୍ଵାରା ଦିଲ  
ଶୁରନାଳୀ, „ଫରିଜୁବା“ ମା-  
ର୍ଯୁଗବ୍ଦ ଦାଖିଶ୍ଵର ଓ କାଳନ୍ତରି  
ଶେମିଶ୍ଵରଙ୍ଗବ୍ଦୀର ନିମ୍ନଶ୍ଵରିବ  
ମିଲାଇବାକୁ, ଏହି ନାମଶ୍ରୀଶ୍ଵରଙ୍ଗବ୍ଦୀଙ୍କାର  
ଶାକ୍ରାନ୍ତେଶ୍ଵରବ୍ଦୀ ବ୍ରାହ୍ମ

XIII მსოფლიო ფესტივალის  
საბჭოთა დელეგაციის წევ  
რეპს კორეელი ბავშვებისა-  
ვის საჩუქრად გადასაცირად.

ରୂପାଳୀଙ୍କ ପ୍ରତିଷ୍ଠାନ ମହାନ୍ତିରରେ  
ଥିଲା, ସାହିତ୍ୟବିଦୀରେ ପାଇଁ ପରିଚ୍ଛନ୍ନ  
ହାତିବାନ୍ଦିଲୁଙ୍କରେ ବାଧାରୀଙ୍କୁ ବୁଲ୍ଲାଇବା  
ଅତିକର୍ତ୍ତାବିଦୀରେ ପ୍ରତିଷ୍ଠାନ ଏକିତୁ  
ଯାହା ମହାନ୍ତିରରେ ବୁଲ୍ଲାଇବାକୁ ପରିଚ୍ଛନ୍ନ  
ହାତିବାନ୍ଦିଲୁଙ୍କରେ ବାଧାରୀଙ୍କୁ

იმათ, ვინც ჭერ არ იცნობს  
წილს, ათრენავს აუტობაზა-

କ୍ଷେତ୍ର ପ୍ରଦୀପିତା, କୁମାରପାତା,  
ରନ୍ଧମ „ଦର୍ଶନପଦା“ ଏଣୀର ପ୍ରଦୀପିତା  
ଏଣୀର ଲୋକରାତ୍ରପଦା-ମହାତ୍ମା  
କୃପାଚାରୀ

ପ୍ରେରଣା ଦ୍ୱାରା ତାଙ୍କୁ ଉପରେ ଉପରେ ଥିଲା  
ପ୍ରେରଣା ପ୍ରେରଣା ପ୍ରେରଣା ପ୍ରେରଣା  
ପ୍ରେରଣା ପ୍ରେରଣା ପ୍ରେରଣା ପ୍ରେରଣା

ରୂପାକ୍ଷିତ୍ରୀ ମନ୍ଦିରାରଟାଙ୍ଗ ଏହା  
ମେଳିଲୁଙ୍ଗ ଶାକ୍ଷରିଲୁଙ୍ଗ ଉଠି-ଦିଲେ  
ଚିତ୍ତରେବେ, ଏହାମେହି ବୃଦ୍ଧିଲୋ ପା-  
ଦ୍ୟୁମ୍ବା ତା ପାଲିତ୍ତୁଗଲୁସ, ରମି-  
ଲ୍ଲେବିତ ମନ୍ଦିରିଲୁଙ୍ଗରେବେ ଶାଜମ୍ବା-  
ଠିକାଲୁଙ୍ଗ ମନ୍ଦିରାମବାମି: „ମନ-  
ଦିଲ, ଯାମେହିବରଣି!“ ତୁମୁକୀ-  
ଲାଦ କେବଳ ଏହି କ୍ଷେତ୍ର ଉତ୍ସର୍ଜନକୁ  
ଅନ୍ତରୀ ଦିଲେବୁଲି ଶାଖେଣି  
„ଭାରତୀଯା!“ — ମେଘଦରମା! ଯେ  
କ୍ରିତାଳୀ ବିର୍ତ୍ତୁମ୍ବା ଗାନ୍ଧିମିଳେ, ରମ-  
ମନ୍ଦିରି ମନ୍ଦିରିଲୁଙ୍ଗ ମନ୍ଦିରିଲୁଙ୍ଗ-  
ଦିଲୁଙ୍ଗରେ.


— სასურველი იქნება, რომ  
თვითონ ჩვენმა მკითხველებმა  
— ინტერნაციონალური მე-

ଗମରାନ୍ତିକ କୁଣ୍ଡଳେଶ୍ଵରୀ ଶ୍ରୀରାଧା-  
ଭା ବାହୁଦୀଶ୍ଵରାନ୍ତିକ ତ୍ରୟାକୋଣତି ମୃ-  
ଶାମବୀଳ ବାହୁଦୀପଲ୍ଲେଶ୍ଵର, ବ୍ୟାକର-  
ନୀନ୍ତି, ଏହି କଥାରେ ଆଶ୍ରାମ ଶ୍ରୀ-  
ମନୋଲୀ କୁଣ୍ଡଳେଶ୍ଵରୀ ମୃଶାମବୀଳିର  
ଦ୍ୱାରାବ୍ଦୀରେ ଏକାଙ୍ଗୀରେ ଉପରେ  
ଜୀବନରେ କଥାରେ କଥାରେ କଥାରେ

ଶୁଣନାଲୋକ ଓ ଶୁଣ୍ଡଳେଖ ପରି  
ଶେଷତ୍ତେ ଦରାମଦେ, ଦ୍ୱୀପଜ୍ଞାସମ ହେ-  
ବୁଦ୍ଧରୂପ!

### 3. ՅՈՒՆԵԱՅՑ.

ଶୁର୍ବନ୍ଦାଳ ଫର୍ଶୁଦାସ । ମତ.  
ଲେଖକୀତୀର୍ଥିରୀ, ସୁତ୍ସିର । ୧. ୧.  
ଗର୍ଜୀରୁ ସାକ୍ଷେଳନ୍ଦିଲୁ ସାକ୍ଷେଳ-  
ମିଳିଲୁ କର୍ମଚାରୀଙ୍କ ଲୋପନ୍ତାରୁ,  
ଲୋବିନ୍ଦୁରୀ କୁମର୍ଯ୍ୟଶିଳୀଙ୍କ କର୍ମ-  
ଚିଠି ଅନ୍ତର୍ଗତି ।



# „მწერლის ფოტო“

**ახლავა,**

## სანამ გვიან არ არის!

ფრიდ რთული და საპატიო მისა დამაკისრა უურნალ „პიონერის“ რედაქციაში. წელს მე. როგორც „მწერლის ფოტის“ გამგებელი. მოსწავლე ახალგაზრდობას უნდა გავესაუბრო და პასუხი გავცე მათთვის საინტერესო საკითხებზე, შეძლებისდაგვარად უურჩიო, როგორ მოიქცნენ ამა თუ იმ მოუგვარებელი საქმის გადაწყვეტისას. ერთი სიტყვით, უურნალ „პიონერის“ ეს ახალ დავალება სიამოვნებით ვიტვირთე, რადგან ყმაშვილებთან ურთიერთობა, მათთან გასაუბრება, მათი ლხინისა და ჭირ-ვარამის გაზიარება ყოველთვის გულთან მიმაქვს.

ა. პირველი წერილი. იგი გასული წლის დამლევს გალის რაიონიდან გამოგზავნა მეცხრე კლასის მოსწავლე გოგონამ. ავტორი თავის წერილს ასე იწყებს: „ძირითადი რედაქციავ! გვიშველეთ!!!“

პირველი წერილი და — ასეთი საგანგმო!

სწორე გითხრათ, შევფიქრიანდი: რა მოხდა ისეთი, რომ წერილის ავტორმა მაშველ ძალებს მოუხმო და თანაც სამი ძახილის ნიშნით? ესე იგი, რაღაც სერიოზული მოხდა მის ცხოვრებაში. მწერლისათვის ეს ცალკერდ საინტერესოცაა და, ამავე დროს, შემაშფოთებელიც: მოზარდი გიხმობს, გვიშველეთ!

აი, თურმე რა მომხდარა. აგრერიგად რას აულელვებია და რას აღუშფოთებია წერილის ავტორი: „ენით აუწერელი სიტუაციაა ჩვენს კლასში. ბავშვები ერთმანეთში სულ გამათობენ, სულ რაღაცაზე ჩხუბობენ, რაღაცას ვერ იყოფენ. დღესაც, როგორც ყოველდღე, ბავშვებმა წვრილმანზე დაიწყეს ჩხუბი“. გვულთმისანი უნდა იყო, რომ წერილის ავტორს გაუგო, რა იყო ის „რაღაც“, რისთვისაც ჩხუბობონენ, რა არის ის „რაღაც“, რასაც ვერ იყოფლნენ, რა არის ის „წვრილმა-

ნი“, რაზედაც იმ დღესაც ამტყდარა ჩხუბი?

აქედან გამომდინარე, გაუგებარია ის ამბავი, თუ რატომ, რა მიზეციონ გაემიჯნენ გოვოები და ბიჭები ერთმანეთს, რატომ არა აქვთ მეგობრული ურთიერთობა ერთმანეთში.

ერთ-ერთ გაყვეთილზე წრეგადასულ ბიჭებს თავდამა (წერილის ავტორი ასე ავიწერს) რომ დაუწყით სიარული, თურმე არც გოგოები ჩამორჩნენ.

გაყვეთილზე ჯამბაზობენ, ოთურმას გადადიან მეცხრეკლასელები. „მასწავლებელმა ვერ გააჩერა ბავშვები...“ — წერს გოგონა.

აღმაშფოთებელი ფაქტი!

მასწავლებელმა თავაშვებულ ბიჭებთან ვერაფერი რომ ვერ გააწყო, წერილის ავტორს ინიციატივა გამოუჩენია და თავის ამხანაგებს დამუქრებია, ყველაფერს დირექტორს ვეტყვიო. დამთავრდა გაყვეთილი (თუკა გაყვეთილი ეთქმის იმ არეულ-დარეულობას!) და გოგონას მიავიწყდა მუქარა. ისევ ბიჭებმა შეასენეს, წადი დირექტორთან, რატომ არ მიღიხარ საჩივლელადო? „რა მექნა, წავედი“. ესე იგი, თვითონაც ფეხებს ითრევდა, მაგრამ მაინც წავიდა დირექტორთან რამდენიმე ამხანაგთან ერთად. „ბიჭებმა კი, როდესაც ჩვენ მივდიოდით, რამდენიმე არასასიამოვნო სიტყვა მოგვაყოლეს“.

სიტუაცია ნათელია. კლასში აუტანელი ატმოსფეროა გამეფებული, რომლის გაჯანსალებასაც, როგორც ჩანს, ვერც სკოლის დირექტორი შველის.

წერილის ავტორს მეზობლებთანაც უხდება თურმე კიმათი, როცა ისინი ეუბნებიან: „თქვენი კლასი ყველაზე უმეგობროა“. იგი კარგად ხედავს, რომ ეს ასეა, მაშ, რატომღა ეკამათება მეზობლებს? გოგონა დაბნეულია, ალარ იცის, ფინ გაამარ-

თლოს და ვინ ვაამტყუნოს, მომდევ ლებს უმტკიცებს, რომ არ უდიდესობის რიგზეა (ამაზე მეტყველებს მისი მეზობლებთან წაკამათება). სკოლაში კი ყველაფერი მობეზრებია: „დილით სკოლაში რომ მივდივარ, რაღაც მიქერს. არ მინდა, არ მინდა მათი დანახვა“.

საკვირველია, გოგონა ბოლომდე რატომ არ არის გულახდილი დედის მიმართ. იგი გვწერს: „იცის დედამ ყველაფერი, მეხმარება კიდეც რაღაცაში, მაგრამ დედას ყველაფერს ვერ ვეუბნები და ყველაფერი ეს გულში მრჩება...“ მეხმარება რაღაცაშიო. ისევ ეს ჩვენთვის უცნობი „რაღაც“!

ავტორი რედაქციის მიმართაც არ არის გულახდილი. ბევრი რამ აუსებს, მაგრამ არ გვესმის. კონკრეტულად რა აუსებს და ასე რამ ატკინა გული. სანამ ექიმი ავადმყოფს დიაგნოზს დაუსვამდეს, მანამდე ბევრი რამ არის გამოსაკვლევი, გასაანალიზებელი. ამჯერად სწორედ მსგავს ფაქტთან გვაქვს საქმე — კლასში უმეგობრო, არამხანაგური ატმოსფეროა, ჩაშლილია დისციპლინა, მასწავლებლები უძლურნი არიან, ეტყობა, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებიც უმოქმედობენ და ასეთ დროს ისმის განწირული ძახილი:

გვიშველეთ!!!

„ძალიან გთხოვთ, მომეხმარეთ.. არ ვიცი, რა ვქნა!“

იმასაც გვეკითხება: „როგორ მოიქციოდით თქვენ მსგავს სიტუაციაში?“

ჩემო კარგო გოგონა. მომიგდე ყური!

როგორც ვატყობ, ყველაფრის თავი და თავი თქვენს კლასში გამეფებული უსაქმურობაა! მე ასეთი დასკვნა გამომაქვს იმ „რაღაცებიდან“ და „წვრილმანებიდან“, რომელსაც შენ გვერდს უვლი და არ გვიშიორავ, არ გვიკონკრეტებ. ძალის თავი სწორედ ამ „რაღაცებსაც“ და „წვრილმანებშია“ ჩამარტული.

უსაქმურობა! დიახ, უსაქმურობა მიზეზი თქვენი კლასის არეულ-დარეულობისა.

მახსოვს (და აბა რა დამავიწყებს!),

## გ ი რ ა ბ ი მ ი ზ რ ა ვ ე ლ ი

### მოდის აარილი

კიშ, რა კარგია –  
მოდის აპრილი,  
ჰყავის მდინარის  
შორი ნაპირი  
და მე ხმამაღლა  
ქედებს გავკირი:  
— ავმდერებულვარ,  
მომეცით ბანი!  
და ბანს მაძლევენ  
მაღალი მთანი.

თოთქმის ყველა მწერალს დაუგზავნეს წერილები, სთხოვდნენ წიგნებს ავტოგრაფებით. კლუბი დიდია და შესაშუალებების, თავის გარშემო იქრებს ათობითა და ასობით მწერალსა და საზოგადო მოლვაწეს, ან როგორ თბილსა და გრძნობებით აღსავსე წერილებს მწერდნენ კლუბის მესვეურნი პირადად მე! ეს უკვე საქმეა!

თქვენც იფიქრეთ მსგავს რამეზე.

ახლა, როცა ასეთი დიდი ყურადღება ექცევა სკოლის მუშაობის ძირებულ გარდაქმნას, პიონერული და კომუნიკაციული ორგანიზაციების ძარებული რგოლების გააჭტიურებასა და ინიციატივას, როცა მოსწავლეებს თვალი შეუძლიათ ბევრი სასკოლო საქმის მოგვარება, როცა ქვეყნის თვალი თქვენები, მოსწავლე ახალგაზრდობისკენაა მოპყრობილი და იმ იმედით შემოგყურებთ. რომ ქვეყნიერებას ოცდამეერთე საუკუნეში თქვენ უნდა გაუძლვეთ, ახლავე მეტი სერიოზულობა გმართებთ... და, უბრალოდ, მეცხრეკლასელი გოგობიტებისათვის, სხვა რომ არაფერი იყოს, სირცევილია, კლასში, ისიც გაკვეთილზე, ჯამბაზივით იარო ხელებით და ფეხების ქნევით ახარხარ ხალხი...

ბავშვობა მალე გაგიფრინდებათ, დაკაცდებით და დაქალდებით. თქვენი მეგობრობა შემდგომშიც უნდა გაგრძელდეს. იცით, რა ტებილია სკოლის მეგობარი, მასთან შეხვედრა?! რაც დრო გადის, რაც უფრო ძველდება ეს მეგობრობა, რაც უფრო შეძერდებიან ერთმანეთს თანაკლასელები, მით მეტი სიამით ევსებათ გული ბავშვობის მოგონებით. ეს, მართლაც, განუმეორებელი ხანა! ამას მერე იგრძნობთ!

და ახლავე, სანამ გვიან არ არას. გოგო-ბიჭებმა ისეთი რამ არ უნდა ჩაიდინოთ, რომ შემდგომში, თანაკლასელთან შეხვედრისას შეკრცხვეთ, ბავშვობაში შეუფერებელი საქციელის გამო გაწითლდეთ. ღრმა სიბერემდე სანანებლად არ უნდა გაიხადოთ, რატომ არ გაუფრთხილდით იმ ნორჩ ყვავილს, რომელსაც ბავშვობა, სიყმაწვილე ჰქვია.

თვენიზ გოგოლაძე

ერთი წუთითაც არ ვარ მდუმარი, მუდამ ლია მაქვს გულის სარკმელი, ლმერთო, მომეცი იმის უნარი, რომ ბოლომდე ვოქვა ჩემი  
სათქმელა!

### თუ კაცი გიყვარს

თუ კაცი გიყვარს,  
ხარ ორი კაცი,  
კალს მამულს შენსას  
ორმაგად უხდი,

ორჯერ მეტი გაქვს  
სიუხვე მარცვლის,  
ორჯერ მძლავრი გაქვს  
მკლავი და მუხლი!

თუ კაცი გიყვარს,  
რაც გინდა მოხდეს,  
არ შეიძლება  
მისოვის უარი...  
შესაძლო არის,  
კიდევაც მოკვდე,  
ეს სიყვარული  
ნაღდი თუ არის...

### პივასალვავი

მივესალმები ველებს გადახნულს,  
ლორთქო ბალას და ხეებს  
შეფოთლილს!

ო, გულო ჩემო, კიდევ რაღაც გსურს  
შეუცნობი და მიუწვდომელი —  
მივესალმები ახალ გაზაფხულს!..

ჩემს მოწაფეობაში უფროსქლასელები მთელი სკოლის მასშტაბით ვმართავდით ლიტერატურულ გასამართლებებს. ეს სასამართლო პროცესი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ხოლმე. მასში მოწაფეთა გარდა ჩაბმული იყვნენ პედაგოგებიც. პროცესი ტარდებოდა ნამდვილი სასამართლოს სტრუქტურით — მოსამართლე. მსაჯულები, ბრალდებული, დამცველი, მოწმეები... ვასამართლებით ლიტერატურულ გმირებს. კამათში ვლინდებოდა მოსწავლეთა და მასწავლებლთა ერუდიცია. ეს იყო ღიღი შემეცნებითი სკოლა. რატომაც, ღიღი ხანია, ასეთ გასამართლებებს ვერ ვხვდები ვერცერთ სკოლაში. ადექტო. ითავეთ, მოაწყვეთ... თუ საკიანულო ძალა გერჩით, იდავეთ და იკამათოთ ასეთ ლიტერატურულ გასამართლებებზე და ამ კამათით აიგჟეთ გონება ცოდნით.

მე ამ ვიცი, გაქვთ ჩაიმე ურთოერთობა თუ არა აჩიგვარის მეურნეობასთან, მასწავლეთ თუ არა სკოლაში საბრძოლო ღიღების მუზეუმი, როგორ ხვდებით კომპაკტირის ღიღადების სამოცდამეათე წლისთავს? არ გიცდიათ, მოუაროთ ცხოველებს, დარგოთ ხე და გაახაროთ ბუჩქი?..

დასხედით ერთხელ და ჩეენი ქვეყნის ნებისმიერი სკოლის ნებისმიერ შეცხრეულასელებს მისწერეთ სამეცნიერო წერილი. სხვას რომ დაუმეცობრდებით და მიწერ-მოწერას გააჩარებთ, გამოძებნით ბევრ გულთბილ სიტყვას, ერთმანეთშიც ვეკავშირდებით და იგრძნობთ თბილი, ამხანაგური სიტყვის მადლია და ძალას.

ათასი რამის მოფიქრება შეიძლება. მაგალითად, ვოროშილოვგრადის ოლქის ქალაქ არტიომოვსკში მოსწავლეებმა დაარსეს ლიტერატურული კლუბი „ბრიგანტინი“ (ბრიგანტინი — ორანძიანი მსუბუქი ხომალი). ამ კლუბის საპატიო წევრი მეც გახლავართ. ჩემი მოკრძალებული ნაშრომებით წვლილი შემოტანია ბიბლიოთეკის შექმნაში, რომლის დაარსებაც ამ კლუბის წევრებმა ითავეთ. ფართოდ გაშალა იაღმინები „ბრიგანტინამ“. კლუბის მესვეურებმა (მოწაფეებმა!) საბჭოთა კავშირის

# ზორეან გაცვალები

## 80 იანვარი

საქონლები  
სამომავალი

გონიერი ჰელიკონი

მხატვარი

თემურ ჭავაძე

მ თ ხ რ ი ბ ა

ივანობის თვეში კარგი დარები წარიყო. პირველ ხანებში ყველას უხაროდა. მერე და მერე, თავარა მზე მტერივით რომ დაშტერდებოდა სოფელს, გაჭირდა საქმე. მოიწყინა ყველაფერმა, რასაც ხელებდაკაპინებული გლეხეაცი იმედის თვალით უყურებდა.

მეთოდე ყოველ დილით აივნიდან დაზერავდა პორიზონტს, შემდეგ ხელებს იმ ადგილისკენ აღმართავდა, მისი ფიქრით მამაზეციერი რომ უნდა ყოფილიყო.

— ნუ გაგვიმეტებ, უფალო! გადმოგვხედე, შე დალოცვილო! რას გავს ეს, ამისთანა არაფერი მინხავს! — შეუწყრებოდა კიდევ, — ზოგჯერ შენც გაუცინე კაცს... თორემ... — მუქარასაც გაურევდა ბოლოს.

ამასობაში მზე ჯერ სათემოს ეკლესის ჯვარს ააბრკყვიალებდა, მერე გუმბათოს.

— თფუპ! — მარცხენა ხელი მოწყვეტილივით ჩამოუვარდებოდა მეთოდეს, ფუთიან მარჯვენას კვლავ იმ ადგილს მოუღერებდა, სადაც მამაზეციერი ეგულებოდა, და ქუსლებჩაკეცილი წულებით სამზადისაკენ წაჩლატუნდებოდა.

— დომნიკა, სკამი, ბოშო! — შეეხმიანა ერთ დილას გახარებული მეთოდე ცოლს. კარში ჯერ სკამი გამოჩნდა, მერე შეჩეკიუებული დომნიკა.

— რა გაყვირებს, რა ამბავია?!

— რა და ეგერ, ე, ჭურის სატკეპნი ურო დამინაცვლე თავში, თუ ამწუთში ცა არ ჩამოვიდეს ფეხად. კოწია! — გადასძახა მეზობელს. რომ არავინ გამოეხმაურა, აივნიდან გადავარდნამდე გადაიხარა, ვითომ უფრო გავაგონებო. გააგონა კიდევ.

— მოდის, მგონია, ეს დალოცვილი, აპ!

— ვინ მოდის?! — გაიკვირვა ქოწიამ.

— ვინ კი არა, წვიმა მოდის, შეკაცო, წვიმა!

— რაღაც შეგონა! წვიმა მოვა, აბა, სად წავა! მარშანდელი მაინც არ გახსოვს? მახე იყო, წადგა გვალვები, მერე მოალო ცამ პირი და წვიმებმა მოგვაძეზრა თავი.

— ნეტაი შენ!.. — ეწყინა მეთოდეს. სკამზე ვერც დაჯდა, ვერც ადგა. იქ გაშემდა, დგომას და ჯდომას შორის რომ შეა ადგილია. ასე იცადა ერთხანს. ნამყენი ბეოლის ფოთლებზე წვიმის მხეუე წვეთებმა რომ ტკაცატავი ატეხეს, მამინდა ამოისუნთქა შევით.

გვალვების შემდეგ, როგორც იქნა, „დვითის ცრემლები“ დაეპურა მიწას. მოსულიერდა ყანა და ვენახი. პატარ-პატარა ნაკადულები თვალსა და ხელს შეა წამოიჩიტნენ, დაითავდალმართეს. უწყინარი მდინარე, როკიანი, აქამდე ჩუმად რომ მოდედუნებდა, წამოიფორდა, ააბრუნა ქვა და ლორი, არ დაზოგა ხიდი და ბოგირი, მოიგრაბნებოდა რისხეითა და მუქარით.

ცამ გული რომ იჯერა, გადაიკარა. მზებ ღრუბლები მისწი-მოსწია და ახლად გამოჩეკილი წიწილივით ამოწვერკანდა. მდინარეს სიცილიცილში დახიდა ყურები, გული საგულეს ჩაუბრუნა და ძველიბურად წააჩუმათა გაზეპირებულ კალაპოტში.

მეთოდემ წულები წინკარში მიაწყო. წვერიანი კალოშები ჩაიცვა, გაიდო ჩაფი მხარზე, ამისთანაში სხვარამეს ვერ ვაკეთებ, წყალს მაინც მოვიტანო. ჭიშკრამდე არც იყო მისული, შვილიშვილი აედევნა. მხარზე მასაც დოქი გაედო.

— დაისვრები, ბაბუა! — ერთი კი უთხრა მეთოდემ. ისე, გულში ეამა, ტალახს არ ეპუებაო ქალაქელი.

რეზიკოს გაუჭირდა წვიმით გაჯერებულ აყალოში სიარული. ერთორჯერ კინალამ ფეხსაცმელი ჩარჩა ტალახში.

მეთოდე დევის ნაფეხურებს ტოვებდა და მიდიოდა. ბიჭი კვალში ჩაუდგა. ოლონდ ეს იყო, ვერ იქნა და ვერ აუწყო ფეხი ბაბუას გრძელნაბიჯებს. ამიტომაც მიხტუნაობდა.

ტიტიკოს ნიგვზებთან არ იყვნენ ჩასულები, რომ წყლის დასალევად ჩამოდენილი საქონელი წამოეწიათ.

— უტივ, ბაბუა, საქონელს, რამე არ მოგწიოს!..

— საქონლის არ მეშინა მე! — თქვა ბიჭმა, მაგრამ გვერდზე მაინც მიდგა. საქონელმა ჩაიარა. მეთოდემ გზა განაგრძო. რეზიკომ თვალების ცეცებით დაუწყო ძებნა ბაბუას ნაფეხურებს, საქონლის ჩლიქებს რომ წაეშალა. მერე ალალბედზე მიპყვა, სანამ ახალ ნაფეხურებს არ ჩაუდგა კვალში.

— იცანი ის ბიჭი, საქონელს რომ მიერეკებოდა?

— ვერ ვიცანი.

— ეგ ელეფთერას ნაბოლარა შვილია, ხუთი ქალიშვილის მერე გვარის გამგრძელებლად და საამაყოდ გაუჩნდა. სახელად მახარე დაარქვა. გამორჩეულად უვლიდა, ცივ ნიავს არ აკარებდა. სიბერეში გამახარებსო, ფიქრობდა. წამოიზარდა მახარე და გავიდა ხეზე. იმ დღის მერე ადესა ყურძენივით ხულ ხეზე იყო ჩამოკიდებული. მოელ სოფელს ესმოდა ელეფთერას ხვეწნა-მუდარა, ჩამოდი ძირსო. მახარეს არ ესმოდა. როდის-როდის ჩამოვიდა, მაგრამ რაღა დროს! ელეფთერას დიდი იმედის მაგიერ ჩიტირეკია შერჩა ხელ-



ში. ბოლოს კაჯუნია ბრიგადისმა ურჩია: შენი ბიჭიდან დაფნისგვარ-გვინოხანი აღარ დადგება, სამწყმ-სურში მაინც გავუშვათ; სოფელში ბირდაბირის გამწევი კაცი აღარა, მაგრამ ეგ საქმეც ძნელი სანდობია ხეკოწიალა კაცისთვისო. ასეა, ბა-ბუა, ჰქვიან კაცს თუ არ დაუჯერვ, ქარსაყოლილ, გზააბნეულ უურტუ-ტას დაემგვანები, საითაც დაგიძე-რავს, იქით რომ წაგიდებს. ამ გა-ზაფხულზე ერთი გაზრდა გავიზარ-დე, ვენახის გასხვლა მასწავლეო, რომ ჩამაცივდი. შენისთანა კაცი კარ-გი მამულიშვილი უნდა დადგეს.

ბიჭი უხერხულად შეიშმუშნა. თა-ვის სიცოცხლეში პირველად უწო-დეს კაცი. დაცინვით კი არა, დაცინ-ვას მაშინვე მიხვდებოდა. „ბაბუას მთელი სოფელი ეკითხება ჰქვას, ტყეილს არ იტყვის, — ფიქრობდა რე-ზიკო, — წისქვილთან რომ ობოლი მიტო ცხოვრობს, ჩემი ტოლაა, კაცის და ქალის საქმეს ორივეს ის ართ.

მევს თავს. მეც შემიძლია ყველაფე-რი გავაკეთო, რაც კაცის ხელიდან გამოდის“.

წყაროსთან ერთი ორომტრიალი დახვდათ. საქონელი რჩოლა-ბუღ-რავით მიიწევდა წყლისაკენ. მანა-რეს ტყემლის ტოტი მოეწია და ფოთლიან-ნაყოფიანად ასუფთავებდა. საქმეს რომ მორჩა, — იპიო! გაიცინა, უბეში ჩაიყარა ტყემალი, ნაწილი რეზიკოს გაუწოდა, გასინჯეო.

— არ მინდა, კბილებს მომკვეთს, — იუარა რეზიკომ. „არ მოგკვეთსო“, მახარემ, და ამის დასამტკიცებლად ერთი პეშვი ტყემალი კაკალ-კაკალ ჩაუშინა სტომაქს კურკებიანად. რამ-დენიმე კურკა პირში დაიგროვა და წყაროზე გადაყუდებულ მოზერს მიასაფანტა. მოზერი რომ დაფრთხა, იპიო, — იხარა და იხარა. მერე საჯ-დომი მოიქექა, წავედიო, მეთოდეს დაუბარა და უკან გაბრუნებულ ნა-ხირს გამოუდგა.

— ასეა, რეზიკო, კაცს შუბლზე



აწერია, რისი მაქნისიცაა. ხომ შეწერული დე იმ საცოდავს, ერთ წუთში უდიდესი ვიმტკიცა, ახალი ჩამოსული რომაა ხილან.

წყალი აიღეს და სახლისკენ შებ-რუნდნენ. წინ ჩაფი მიდიოდა, უკან დოქი მისდევდა... ჭიშკარი რომ შე-აღეს, — ორას ორმოციო, — შეწყვი-ტა თვლა რეზიკომ.

იმ დღის მერე ბაბუას ნაბიჯებით ზომავდა სოფელს. ზეპირად იცოდა, რამდენი ნაბიჯი იყო ყანიდან წის-ქვილამდე, ვენახიდან ჭურისთავამ-დე, წყაროდან ეკლესიამდე, მტრი-დან მოყვრამდე...



მეთოდე ნიგვზის ჩრდილში სამ-ფეხა სკამზე იჯდა, ფეხი ფეხზე გა-დაედო, მუხლისთავზე ხელები შე-მოეჭდო, მარჯვენა ხელის თითებს-შუა ჩამერალი სიგარეტი შერჩნო-და. მზერა გაღმა სოფლისთვის მიე-ცივებინა და შუბლშეჭმუხნილი ისე ლაპარაკობდა, თითქოს თავის თავს ეთათბირებაო. ყველაფერს კი შვი-ლიშვილის გასაგონად ამბობდა, იქვე შორიახლო კონდარში რომ წამო-გორებულიყო და ტოტებს შორის გამოპარულ მზის სხივებს ემალე-ბოდა. ბაბუა ლაპარაკობდა, შეილი-შვილი უსმენდა თუ არა, ვერ იტყო-დით.

— ახალგაზრდები ზედმეტად თვლით, მაგრამ გამოცდილი კაცის ნათქვამს ყური უნდა ათხოვოთ. სხვა რომ არაფერი, სამი ქალამნით მე-ტი მაინც გაუცევთია თქვენზე.

— რა დროს ქალამნებია, ბაბუა, მთვარეზე დადის ცოცხალი კაცი, ეღიმება რეზიკოს.

— ქირქილს თავი დაანებე! კაი მოქმედს კაი გამონეო, იცი ალ-ბათ.

— კაი მთქმელი მითხარი, თორემ, ჩემისთანა გამგონეზეა ეგ ნათქვამი, — ისევ გაიღიმა შვილიშვილმა.

— მაგ ლლიცინში გაგყავთ დრო, ოქროს ხარჯავთ და ვერ ხვდებით. ყველაზე მოწიწებით დროს უნდა მოეყყრა, თვალებში უყურო, მის ქალთას ხელი ჩასჭიდო, მიპყვე-მოჟყვე, თორემ გაგეპარება. იმასაც



კერ გაიგებ, როდის გავეპარა. ერთ მშვენიერ დღეს მიიხედ-მოიხედავ და მიხვდები, — დრო გასულა. ჰო, ჰო, ჩეარი მატარებელი ვითა დრო. არც ერთ სადგურში არ ჩერდება. ბოლოს მიხვდები, ცხვირწინ რომ ჩაგიქ-როლებს... მერე სდი, რამდენიც გინდა, ვეღარ მიეწევი.

შეგიძლია სიკვდილს გადაელობო, ტყვიას ალედგე წინ და შეაჩერო, მდინარე შეაგუბო, კლდე გახვრიტო, ზღვა კოვზით ამოხაპო, დროს კი ვერ შეაჩერებ. წამი რაა, წამსაც არ დაგითმობს. შეიძლება დროის პატარა ნაწილი შემოგინახოს მეხსიე-რებამ, ისეთი, მთელი ცხოვრება მის ნეტარხსენებაში რომ იყვე, მაგრამ დაუსრულებლივ ერთი იღბლიანი წამით მოგქონდეს თავი, არც ეს ვა-რგა.

რეზიკო ისევ მოერიდა მზის სხი-ვებს და გვერდი იცვალა. მოხუცს არ შეუნიშნავს შვილიშვილის გულ-არხეინობა. კვლავ გაღმა სოფლის-ენ იყურებოდა.

— დრო ცოცხალივით სუნთქვას, გულიც აქვს, სულიც, მისწრაფებაც, სისხლიც უდელს, დიდ საქმეებსაც აკეთებს და ოფლსაც ბევრს აქცევს. სწორედ სისხლით და ოფლით იწე-რება დროის ისტორია...

რეზიკომ რაღაც მელოდია წაუსტ-ვინა.

— შენთვის ვლაპარაკობ, ბაბუა, უკელაფერს, შენთვის.

— ვიცი, — გაიცინა ბიჭმა, — რამ-დენჯერ მომისმენია...

— ერთხელაც მოისმინე, არ გაწ-ყენს, — ჯიბიდან ასანთი ამოილო, ჩამქრალი სიგარეტი მოსაკიდებლად შეამზადა. — არც მახსოვს, რამხელა ვიყავი, ალბათ ხუთი-ექვსი წლის, მეტის არა, — გააგრძელა მოხუცმა, ისე რომ ასანთი არ გაუკრავს. — ხშირად ვიყურებოდი აივნიდან. სოფლის ბოლოს, სადაც ცა და მიწა ერთდებოდა, იქ მეგონა ქვეყნიერე-ბის დასასრული. უსაშეელოდ დიდი მეჩევნებოდა თვალსაჩირი, იმის იქით აღარაფერი არ მეგულებოდა... წლები თავისას შვება, საულვაშეზე ლინლი გამიჩნდა. რაღაც-რაღაც-

ბში გავერკევი. ერთ მშვენიერ დღეს უფრო კარგად დავინახე უც-ნაურობით სავსე ქვეყანა. დიდხანს ვივარცხნე ქოჩორი იმ დღეს, ბიძა-ჩემის ვერცხლით მოჭედილი ქამა-რი უკითხავად ავილე, შემოვირტყი ბლუზაზე, ჩემს სიცოცხლეში პირვე-

— სინტაქსი-მინტაქსი უარის ვიცი, მაგრამ მაგაზე რთული წინადადება არ არსებობს... — მოხუცს თვალი გა-უშტერდა, ბაბუაწვერას პაერში აფა-რფატებულ თავგვირგვინს ხელი აუქ-ნია. ერუანტელივით ააცანდა პა-რის ნაკადმა თავგვირგვინი, ოდნავ-



ლად შევკარი მინდვრის ყვავილების თაიგული და ბარე ათჯერ ავუარ-ჩავუარე ერთ სახლს ზედა სოფელ-ში.

— კარგი აივანი პქონდა იმ სახლს, ალბათ, — თქვა რეზიკომ, თვალებში ეშმაკები ჩასახლებოდა, წამოჯდა, გამომცდელად მიაჩერდა მოხუცს.

— აივანი სხვა სახლებს უკეთესი პქონდა... — თავი ჩასარა მეთოდები.

— რა ხნის იყავი? — დაინტერესდა შვილიშვილი.

— შენოდენა, შეიძლება უფრო ახ-ალგაზრდაც... ვერ იქნა და ვერ ვთქვი ერთი წინადადება თავის დროზე, ძნელი სათქმელი შეიქმნა სამი სიტყვა.

— სინტაქსურად მარტივი წინადა-დებაა ის სამი სიტყვა, შენ რომ ვერ გითქვამს მაშინ.

მა სიომ ზევითკენ წაილო. მეთოდე სევდიანი მზერით მიაცილებდა ბა-ბუაწვერას და, როცა ბუსუსები თვალს მიეფარა, ისეთი შესახედავი დარჩა, შეგეცოდებოდათ. თითქოს ყველაზე ძვირფასი მოგონებები იმ ფარფატა ბუსუსებს გაპყვა სამუდა-მოდ.

რეზიკო ისევ წაგორდა კოინდარ-ში. მასაც გაასხენდა, პირველად რომ შეყოვნდა სარკის წინ, პირველად გააუთოვა შარვალი და პირველად გაუტყდა ძილი.

— მაშინაც გავიფიქრო, შეუცხობე-ლი აღარაფერი დამრჩა-მეთქი, უც-ნაურობით სავსე ცისქვეშეთი ახლე-ბურად რომ დავინახე, — გააგრძელა მეთოდემ, — მაგრამ დრო არავის და არაფერს ყურს არ უგდებს, მიდის



ამოჩემებული რიტმით და მრავალ ჩემისთანას აძლევს პასუხს შეცდო- მით გაკეთებულ ნაადრევ დასკვნებ- ზე, ერთხელ კიდევ ჩააფიქრებს, და- ჯერებს, რომ ცხოვრება ვეებერთე- ლა წიგნია, და ჯერ მისი შესავალი ნაწილიც არ წავიკითხავს.

— რეზიკო, საცურაოდ არ წამოხ- ვალ? — იძახის ჭიშკარს მომდგარი ახალგაზრდებიდან ერთ-ერთი.

ბიჭი წამოიჭრა და ჭიშკრისკენ გა- იქცა.

— შეაყარე კედელს ცერცვი, — ჩაი- ლაპარაკა თავისითვის მოხუცმა და ახლალა მოუკიდა ჩამქრალ სიგა- რეტს.

საბანაოდ მიმავალი ბიჭების ხმა- მაღალი შეძახილები კარგა ხანს ეს- მოდა მეთოდეს. ნეტაი თქვენო, შე- ნატრა ხმამაღლა.

— ისე, კაცმა რომ თქვას, რას ერ- ჩი, ქალაქელი ბიჭია, ცოტა ხნით ჩამოდის, ხელის წაველება იცის, სკოლა ხუთებზე დაამთავრა, უმაღ- ლებში მოეწყობა და ხუთოდე წე- ლიწადში კაცია. ვარსკვლავთმრიცხ- ველი ვიქნებით, — ცაში იყურება სულ. გუშინ სასიმინდე შემაკეთები- ნა, დღეს — ჭიშკარი, საძინებელ ოთ- ახსაც შეგიღებავო, შემპირდა, მა- საღაც მოიმარაგა. ვნახოთ, რასაც გააკეთებს, თვითონ გამოადგება. კა- ცი ხელწოვანა არ უნდა იყოს.

მეორე დილით, მეთოდე რომ სახ- ლიდან გავიდა, შვილიშვილს ჯერ კიდევ ეძინა.

— დელის წყალს გადავაგდებ ყა- ნაზე, შეადღემდე ვერ ამოვბრუნდე- ბი, — დაუბარა დომნიკას, გაიდო თოხი მხარზე და ლილინით გაუდგა გზას.

უკან რომ დაბრუნდა, საკვირიკო ლელვის თავზე დახვდა მზე, — ამ დროს კაჭალი შეადღეაო, ამბობს მეთოდე. როცა რამეს აკეთებ, შეა- დღემდე უნდა გატეხო საქმე წელში, სადილის მერე ის ხალისი აღარაა, დილიდან რომ აგყვება კაცსო.

აივანზე შაბიამნისფერ სალებავ- ში თავიდან ფეხებამდე ამოთხვრი- ლი რეზიკო გამოჩნდა.

— გამოგდის რამე?! — უთხრა მე- თოდემ.

— ჯერ ეს მითხარი, ასეთ საქმე- ში კველაზე კარგი ოსტატი ვინაა თქვენში?

— ვინ და, ევტიხი ლვინეფაძე.

— ჰოდა, ევტიხიც ვერ გააკეთებდა ასე.

მოხუცი თავზე წაადგა ბიჭს, კარ- გა ხანს ათვალიერა მისი ნახელავი. ალაგ-ალაგ აჭრელებულიყო კედე- ლი. — კარგია, მართლა კარგია, — ღიმილით თქვა მეთოდემ, გულში კი ფიქრობდა: „ვერაფერი შვილი ნახე- ლავია, მაგრამ მეორედ და მესამედ უკეთესი გამოუვა“. — ჩამოდი ახლა, ბაბუა, დაისვენე. ხანამ დომნიკა სუ- ფრას გავვიწყობს, ერთ რაღაცას მოგიყვები.

რეზიკომ ხელები გადაიბანა.

— არ ვიქნებოდი, თორმეტი ან ცა- მეტი წლის, — დაიწყო მეთოდემ, — ამ ამბავს რომ წავესწარი. ლომინის დობილოდან ორი თოფიანი კაცი გამოვიდა, უკან ძაღლები მოსდევ- დათ. ბერძენი მჭედელი ცხოვრობ- და ჩვენს სოფელში, პეფესტო აფა- ნასიადი, ის შემოხვდათ წინ. მიე- სალმნენ ერთმანეთს.

„სად მიდიხარო?“ — დამციხავი სი- ცილით ეკითხება მჭედელი.

თოფიანებმა ერთმანეთს გადახე- დეს, სავაზნე ჩანთებიც შეისწო- რეს.

„ვითომ ვერ ხვდები?..“ — იკითხა ტანმორჩილმა.

„ვხვდები, მაგრამ, მაინც რაზე მიდიხარო?“

„რასაც წავეწევით“, — ახლა მა- ღალ-მაღალმა გადმოხედა დამცინა- ვად მჭედელს.

„მასე ნაიბარაზე სიარული გამი- გონია? ის მაინც უნდა იცოდეთ, რა- ზე მიდიხარო სანადიროდ. ეს ძაღ- ლები თქვენია?!“

ტანმორჩილს ეს შეკითხვაც გაუ- პირდა, აბა ვისი იქნებაო.

„რომ დაამთქნარა, ის რომლი- საა?“

„ჩემი მწევარია“, — თავმომწონედ ამბობს მაღალი.

„მერე რა უნდა გაგიკეთოს მაგან?“

„რა და, კურდღელს გამოვგდებული დაეწევა და დაიჭერს“. გიგანტის სახე

„ეგი, ბიჭოოო?!!“

„ეგი, ეგი...“

„მაგ დაიჭერს ჩემს ფეხებს! უყუ- რე, კიდევ ამთქნარებს. კარგი, ბა- ტონო, ვთქვათ, დაიჭერს, მაგრამ სადაა კურდღელი?!“

„კურდღელს მეძებარი მოძებნის, ჩემი ძალი მეძებარია“, — ახლა ტან- მორჩილმა აჩვენა თავისი, რომე- ლიც საკუთარ კუდს გამოდგომოდა დასაჭერად და პატრონის წინ ერთი წკმუტენ-ბზრიალი გაემართა.

„მაგ მოძებნის ჩემს ფეხებს!“

„ვნახოთ, ოთხი საათის მერე სავ- სე ჩანთით რომ ჩამოვიკილით“, — დაემუქრა მეძებრის პატრონი.

„დაღამებამდე უკან მომბრუნებ- ლები არ ხართ თქვენ“. გიგანტის სახე

„ვითომ რატომ?!“

„დღისით შეგრცხვებათ სოფელში ცარიელ-ტარიელი გავლა, სანამ კარგად არ დაბნელდება, თავს ვერ გამოყოფთ ტყიდან“. გიგანტის სახე

მონადირებმა ბუზღუნ-ბუზღუნით გააგრძელეს გზა. პეფესტო თვალი გააყოლა პატრონების კვალში ჩამდ- გარ ძაღლებს.

„მასეთი ძაღლების იმდეზე იქნა ჩემი მტერი... რასაც მაგენი დაიჭე- რენ...“ — გააკეთა საბოლოო დასკვნა მჭედელმა და გზას გაუყვა.

— შენ, ბაბუა, ნუ გეშინია, დაი- ჭერ, უსათუოდ დაიჭერ, — გაამხნევა შევილიშვილი მეთოდემ და ცხელი მჭადი გატეხა.

სასაფლაომდე აღარ გაუზომავს მანძილი რეაზს, თუმცა ორმოც წელს მიღწეულ ასტრონომს აქამდე შემორჩენდა ბაგშვობაში აკვიატე- ბული ჩვევა — ბაბუას ნაიჯებით გა- ზომა მანძილი.

მიღილდა რევაზი. წინ ახლაც მე- თოდე ბაბუა მიუძღოდა, ნელი, და- ჯერებული ნაიჯებით. სახლში რომ დაბრუნდა, იქაც მეთოდე შე- მოეგება. გადიდებული სურათიდან ულიმოდა. იმ ღიმილში მთელი სოფლის ღიმილი ჩაეტეოდა.

ხავ. სსრ კ. მარჯნიშვილი

ხახ, სახ. რესპუბლიკური

სახლის მიმდევალი

წუთისოფელი წამია –  
აზრიანი თუ უაზრო...  
მაგრამ რუსთველმა ამ წამში  
რამდენი რამე მოასწრო!

წუთისოფელი წამია –  
მხოლოდ ვარამი მოაქვსო...  
მაგრამ დავითმა ამ წამში  
რამდენი რამე მოასწრო!

მე სანთლის ცვილივით ვიღევი,  
ყოველ წამს თქვენს თვალებს  
ვხედავ...

რა ჩამოგიტანოთ, შვილებო,  
რა ჩამოგიტანოთ ნეტავ?

დიდი თუ პატარა ნიჟარა,  
ამბები მთისა თუ ბარის?  
რად გინდათ ოქრო და გიშერი,

კაი თვალით გადმოგხედავს ღმერთი,  
ყოველდღიურ სიცოცხლედ თუ იქცა—  
ცისფერი ცა,  
მტრედისფერი მტრედი,  
ზღვისფერი ზღვა,  
მიწისფერი მიწა.

ნუ ჩამეთვლება ქათინაურად  
ეს ლექსი,  
რადგან გულიდან მოდის...  
ვერ ვაპატიებ მე ვერც ერთ  
ქართველს  
შენთან არმოხვლას, ან მოხვლის  
ლოდინს.  
ნუ ჩამეთვლება სტუმრის მადლობად  
(რა მესტუმრება ქახეთში ქართველს),  
უცებ გზაზე რომ შემომალამდეს,

## წუთისოფელი წამია

წუთისოფელი წამია –  
მაინც ვერ ეჭყვი უარსო...  
მაგრამ თამარმა ამ წამში  
რამდენი რამე მოასწრო!

არვის წადგომია, არვის.

რა ჩამოგიტანოთ, შვილებო, —  
მაწამებს ფიქრი და ეჭვები...  
არ გინდათ ლამაზი, ჭრელ-ჭრელი  
პაწია, ფერადი კენჭები?...

წიგნი თუ ლიმონი ყვითელი,  
ლექსი თუ მამური სითბო?...

და იქნები ერთი იმათგანი,  
ვინც მოდის და არასოდეს მიდის,  
სიცოცხლისფერ სიცოცხლეს თუ  
განვლი,  
ვერას გიზამს ბინდისფერი ბინდი.

## კახეთი

მოულოდნელად ამინთებ სანთელს.  
მხოლოდ შენ გეტყვი ახლა,  
სხვას არა,  
რა ჩამჩრჩულეს გრემის ტაძრებმა...  
ნუ ჩამეთვლება სიტყვის მასალად  
ეს სიამაყე და აღტაცება!..  
ვისია ქარის გაშლილი თმები

წუთისოფელი წამია –  
სულ ბორბალივით გორავსო...  
მაგრამ ილიამ ამ წამში  
რამდენი რამე მოასწრო!

წუთისოფელი წამია –  
უყვარს მეფეს თუ მონასო...  
იჩქარე, საქართველოსთვის  
იქნება რამე მოასწრო!

რად გინდა ძვირფასი ნივთები,  
ძვირფასი იყავით თვითონ!

მე სანთლის ცვილივით  
ვიღევი,  
ყოველ წამს თქვენს თვალებს  
ვხედავ...

რა ჩამოგიტანოთ, შვილებო,  
რა ჩამოგიტანოთ ნეტავ?...

არაფერი აღარ გინდა მეტი,  
ყოველივეს დასაბამად იცან —  
ცისფერი ცა,  
მტრედისფერი მტრედი,  
ზღვისფერი ზღვა,  
მიწისფერი მიწა.

და ტირიფების მკლავები სველი?  
შენი თუ ჩემი —  
გომბორის მთები?

შენი თუ ჩემი —  
ალაზნის ველი?  
შენ სიყვარულის ვარდები თესე,  
ვინაც გიხილა, სუყველას გულში...

და მაპატიე, თუკი ეს ლექსი  
ჩამოილია შენს სიყვარულში.





ცოვ-გომბორის მთები კახეთს ორ  
ნაწილად ჰყოფს. იქ, სადაც აღაზ-  
ნის ველი გაშლილა, „წინა მხარია“,  
ხოლო ცოვ-გომბორის სამხრეთი  
ფერდობებისა და ივრის დაბლობის  
მიდამოებში — „უკანა მხარი“.

უკანა მხარი ტრიალი მინდვრებით, მდინარე იორითა და გარშემო შემოჯარული მთა-გორებით არის განთქმული. ბევრი ადგილისთვის ხალხს უხსოვარ ღროშოვე სახელები შეურჩევია: „ნაომარი ველი“, „ოლე“, „ნატბევარი“, „მწარე წყალი“, „ბასკოლიანი“, „ვაისწყალი“, „ნაწალიარი“ და სხვ.

ეს ადგილები ფეხით აქვთ შე-  
მოვლილი არქეოლოგებს. მათ აღ-  
მოაჩინეს და აღრიცხეს მრავალი აო-  
ქეოლოგიური ძეგლი, გორასამარ-  
ხები, სამაროვნები, ნამოსახლარები,  
ნაქალაქრები, ნასოფლარები, რო-  
მელთაგან ბევრი ძველი წელო-ოლ-  
რიკებით თარიღდება.

შარშან, ზაფხულში, ნაომრის  
ველზე, სიღნაღის რაიონის სოფელ  
მაღაროს კოლმეურნეობის საველე  
კალოს ახლოს, კახეთის არქეოლო-  
გიური ექსპედიციის წევრებმა ცხრა

მეტრი სიმაღლისა და ოთხმოცუ  
მეტრი დიამეტრის ყრილის მქონე  
გორასამარხი გათხარეს. ხმაც ამის  
შემდეგ გავარდა: არქეოლოგებს  
უკანა მხარში თამარ მეფის ოქროს  
ქოშები უპოვნიათ. ამიტომ აჟყვ-  
ნენ დიდებიცა და პატარებიც. ვიდ-  
რე გორასამარხის გათხრა და მისი  
შესწავლა დამთავრდებოდა, მიუხე-  
დავად შორი მანძილისა, ნაომრის ვე-  
ლისკენ მიქვროდნენ ავტომანქანები.  
ცნობისმოყვარეთა შორის ნახვდით  
მაღაროს, ბოდბის, ნუქრანის, ული-  
ანოვსკისა და სხვა სოფლების სა-  
შუალო სკოლების პიონერ-მოსწავ-  
ლებს — ძეგლის ნორჩ მეგობრებს,  
არქეოლოგით გატაცებულ ყმაშვი-  
ლებს, რომლებიც უფროსებს ას-  
ცუვნებოთნენ.

„ოქროს ქოშები“, რა თქმა უნდა,  
მოგონილი ამბავი გამოდგა, სამაგი-  
ეროდ, ბავშვებმა გაიცენს არქეო-  
ლოგები: ნანა მამაიაშვილი, ცისანა  
მენაბდე, მერაბ კინწურაშვილი, ვა-  
ჟა ვარაზაშვილი, ვასიქ ექსეული-  
ძე, ვაჟა კაპუკშვირი. მათი ხელმძღ-  
ვანელი, ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი კიაზო ფიცხელაური, კი-

დევ — მეშვიდეკლასელი კოტე ფიც-  
ხელაური, რომელიც მთელ ზაფ-  
ხულს, არქეოლოგებთან ერთად, კა-  
რავში ცხოვრობდა და გათხრებშიც  
იღებდა მონაწილეობას. სხვებიც  
დაუმეგობრდნენ ძია კიაზოს. ექსპე-  
დიციის ხელმძღვანელთან ბავშვების  
საუბრებს ხშირად ესწრებოდა კა-  
ხეთის არქეოლოგიური ექსპედიცი-  
ის წევრი, მწერალი ვლადიმერ ას-  
ლამაზიშვილიც. „ნაორის ველზე“  
გამართული ამ საუბრების მისეულ  
ჩანაწერებს ქვემოთ გთავაზობთ:

**კითხვა:** ძირი კიაზო! ჩვენ ვიციოთ. რა ვებერთელა „ნაომრის ველზე“ გათხრილი გორასამარხი, გვსმენია ეგვიპტის უზარმაზარი პირამიდებისა და აყლადმების შესახებაც. გთხოვთ, უფრო დაწვრილებით გვიამბოთ, რატომ და რისთვის იქმნებოთ ასეთი სამარხები?

**პასუხი:** 1973 წელს ჩვენმა ექს-პედიციაშ ალაზნის ველზე კიდევ უფრო დიდი გორასამარხი გათხარა. სიმაღლე 11 მეტრი ჰქონდა, დაახლოებით იმხელა, ოთხსართულიანი სახლი რომ წარმოვიდგინოთ. ყრალის დიამეტრი 168 მეტრს უდრი-

და. ეს იყო 51 თათასი კუბური მეტ-  
რი მიწისა და ქვის ყრილი. გორა-  
სამარხის ხნოვანება ძველი წელთა-  
ღრიცხვის მესამე თათაშლეულის  
დასასრულით განისაზღვრა. ეს ის  
პერიოდია, როცა ეგვიპტეში ფარა-  
ონები თავისთ სიცოცხლეშივე იშე-  
ნებდნენ სამუდამო განსასვენებელს.  
მათ სწამდათ, რომ სიკედილის შემ-  
დეგ ადამიანი ცხოვრებას უკვდა-  
ვების ქვეყანაში აგრძელებს და ამი-  
ტომ საფლავშიც სჭირდება ყვე-  
ლაფერი ის. რაც სიცოცხლეში  
სჭირდებოდა — სასმელი, საჭმელი,  
საოჯახო თუ საომარი ნივთები, ძვი-  
რფასი სამკაულები, მოსამსახურე-  
ები, პირუტყვი და სხვ. აი, ამ მიზ-  
ნით შეიქმნა ეს უზარმაზარი ნაგე-  
ბობანიც — ეგვიპტის პირამიდები,  
რომლებიც დღესაც ოცებენ მნახ-  
ველს. ფარაონ ხეოფსის 146 მეტრი  
სიმაღლის პირამიდაში ერთმანეთზე  
დალაგებული 2 300 000 ქვის ბლო-  
კია. დიას. ეს უზარმაზარი ნაგებო-  
ბა ერთი კაცისთვის შეიქმნა.

კახეთის მიწა-წყალზე ოდესლაც  
მცხოვრები ტომები თავიათ ბელა-  
დებსა და წარინებულებს უშენებ-  
ლნენ ეგვიპტური პირამიდების  
მსგავს სამარხებს. ისინი მიწისა და  
ქვის ყრილისგან ქმნილნენ რთულ  
ნაგებობებს, რომ მტრებს იოლად  
ვერ დაენგრიათ, ანდა განძის ხელ-  
ში ჩიგდების მსურველ მარცვე-  
ლებს მიზნამდე ვერ მიღოჭიათ.

სამწუხაროდ, სამარხთა უმრავ-  
ლესობა მაინც ნადგურდებოდა, იძ-  
ორცვებოდა. იყარგებოდა ისტორი-  
ისათვის ძვირადღირებული ნივთები.  
ქურდებმა დიდი ხნის წინათ შეალ-  
წიეს ალაზნის ველზე ჩვენს მიერ  
გათხრილ იმ დიდ გორასამარხში,

ფარაონ ტუტანჰამონის აკლდამაში მძარცველები მისი სიკვდილიდან ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ შევიდნენ, ხოლო თუთმოს IV-ის აკლდამაში — მისი სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ. თუმცა მძარცველები დაუსჯელნი არ ჩერდნენ. რამზეს IX-ის დროინდელ

აპირუსებში (ძვ. წ. 1142-1123 წწ.)  
დღწერილია სამი ათასი წლის წი-  
ნანდელი სასამართლო პროცესი,

რომელიც არჩევდა აკლდამების გძა-  
რცველთა საქმეს.

**კითხვა:** რის მიხედვით ათარი-  
ლებთ არქეოლოგიურ ძეგლებს?  
რატომ ვამბობთ ასე: „ძველი წე-  
ლთაღრიცხვა“ ან „ახალი წელთაღ-  
რიცხვა?“

**პასუხი:** არქეოლოგიური ძეგლების დათარიღებისათვის არსებობს ტრადიციული წესი—შედარების მეთოდი. სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა დროს აღმოჩენილ ძეგლებს ერთიმეორესთან შედარებით ვათარიღებთ. მასალები თარიღდება აგრეთვე მათი ტიპობრივი განვითარების საფეხურების გარკვევით.

გამოიანვარიშებენ, რომელიც მის  
ცენტი ნახშირბაღი ექვს დაულებუ-  
ლი და ამის მიხედვით დაადგინენ მის  
მიხლოებით თარიღის.

ამგვარი რაღიოკარბონატული ლა-  
ბორატორიები მუშაობენ საბჭოთა  
კავშირის სამ ქალაქში: თბილისში,  
კიევსა და ლენინგრადში.

რაც შეეხება ძველსა და ახალ  
წელთაღრიცხვებს, აღმიანის სა-  
ზოგადოების ისტორია (ქრისტია-  
ნული ქვეყნებისათვის) პირობითად  
იყოფა ორ ნაწილად — ქრისტეს  
დაბადებამდე და ქრისტეს დაბადე-  
ბის შემდეგ. ლექს ჩვენს მეცნიერე-



ବ୍ୟାପକ ରୋହିଲାଗି ଯାଇଥାରୁ ବେଳିଲାଇବା ଏକାନ୍ତରେ ବ୍ୟାପକ ରୋହିଲାଗି ଯାଇଥାରୁ ଏକାନ୍ତରେ

არქეოლოგიური ძეგლის ქრონ-  
ლოგიის განსაზღვრისათვის მეცნიერებმა შეიმუშავეს ე. წ. რადიო-  
კარბონატული მეთოდი, რაც შემდეგნაირად შეიძლება განვემარტოთ:  
ყველა ცოცხალი ორგანიზმი განსაზღვრული რაოდენობით შეიცავს  
(ნახშირბაძს, რომელიც ობიექტის (ცოცხალი ორგანიზმის) სიკვდილის  
შემდეგ ყოველწლიურად განსაზღვრული რაოდენობით კლებულობს  
მასში. მის დასადგენად ფიზიკოსები იყენებენ არქეოლოგიურ ძეგლში  
აომოჩენით ხის ან ძლიის მასალი).

ბაში პერიოდს ქრისტეს დაბადებამ-  
დე მოიხსენებენ ტერმინით „ძვე-  
ლი წელთაღრიცხვა“, ქრისტეს და-  
ბადების შემდეგი პერიოდის აღსა-  
ნიშნავად კი იხმარება ტერმინი „ახ-  
ალი წელთაღრიცხვა“;

ამჟამად ჩვენ ვცხოვრობთ ქრისტეს დაბადების შემდგომ ე. ი. ახალი წელთაღრიცხვის 1988 წელში. თუ ახალი წელთაღრიცხვის პერიოდში წლები მატულობს ერთიდან (ქრისტეს დაბადების წლიდან), ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში ადამიანის ისტორიის არაპირების განასაზოვოდებელი გარემონტის მიზანით დაგენერირდა ამ კონცენტრირებული მიზანი.



ლვრისათვის წლები კლებულობს ადამიანის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე ე. ი. პირველ წლამდე. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების შესახებ დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიათ მოიძიოთ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“.

**კითხვა:** ძია კიაზო! გათხრებს იმიტომ აწარმოებთ, რომ განძი იპოვოთ?

**პასუხი:** არა, როცა გათხრას ვიწყებთ, სრულებითაც არ ვართ დარწმუნებული. რომ აქ რაიმე ძვირფასი ლითონისაგან დამზადებულ ნივთს მივაგნებთ — არქეოლოგების მიერ ნაპოვნ ქვის, ბრინჯაოს, რკინის ნივთებს. თიხის ფურცელს, რაც უცხო თვალს უბრალო ნივთად მიაჩნია, ჩვენთვის დიდი ღირებულება აქვს, რადგან ამ ნივთების საშუალებით ვსწავლობთ ჩვენი ერის დამტერლობამდელ ისტორიას.

ხშირად ეს მასალები გვეხმარება. დავაზუსტოთ უფრო მოგვიანო წერილობითი ცნობებიც. ყველა ნაპოვნი ნივთი მიგვაქვს არქეოლოგურ ბაზებში, სადაც ისინი ლაბორატორიულად მუშავდება.

დიდი ჯაფა ადგათ ჩვენს რესტარატორებს. ლუქმა-ლუქმად დატეხილი თიხის ნამტკრევებისაგან წებოსა და თაბაშირის საშუალებით ისინი ჭურჭელს აღადგენენ. ასეთი აღდენილი ჭურჭელი დაცული გვაქვს სიღნაღმში, ჩვენი ექსპედიციის ბაზაში, ბევრიც გადავეცით აღმოსავლეთ საქართველოს იმ რაიონების მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს, სადაც ისინი გათხრების დროს ვიპოვნეთ. უყურებთ წვრილი წრეებით, ტალღისებური ხაზებით, სამკუთხედებით, ფრინველებისა და ცხველების გამოსახულებებით შეკულ თიხის ჭურჭელს, ბრინჯაოს იარაღს, ოქროს, ვერცხლის ნივთებს და თქვენთვის აშარა ხდება, რომ ისინი დახვეწილი გემოვნებით დაჯილდოებული ხელოსნების მიერ უნდა იყოს დამზადებული...

**კითხვა:** ძია კიაზო! ძნელია არქეოლოგიური ძეგლის მიგნება? ჩვენ — ძეგლის ნორჩ მეგობრებს არქეოლოგებისათვის — თქვენთვის რა დახმარების გაწევა შეგვიძლია?

ვთქვათ. აღმოვაჩინეთ არქეოლოგიური ძეგლი, როგორ მოვიქცეთ?

**პასუხი:** არქეოლოგიური ძეგლის მისაგნებად უნდა გქონდეთ სათანადო ცოდნა და გამოცდილება. ძეგლის აღმოსაჩენად წინასწარი დაზვერვითი სამუშაოები ტარდება. გამოსარკვევი ტერიტორიის არქეოლოგიურ რუკაზე პირობითი ნიშნებით აღინიშნება აღმოჩენილი ძეგლი: გორასამარხი, სამაროვანი, ნაქალაქარი, სამლოცველო და სხვ. შემდეგ ვიწყებთ გათხრით სამუშაოებს და თითოეული ძეგლის შესწავლას. უფრო ხშირად კი არქეოლოგიურ ძეგლებს ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით ვპოულობთ, რაც ასალმშენებლობებთან ან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, 1979 წლის მაისში სოფელ ჭერემში სკოლის მშენებლობის დროს გამოვლინდა გვიანრომაული ხანის ჯგუფური სამარხები. თითოეულში დაკრალული იყო 2-დან 5 მიცვალებულამდე. ქვის სამარხებში აღმოჩენდა თიხის დოქები, ქოთხები, ჭინჭილები, ოქროს ბეჭდები, მონეტები, ბრინჯაოს ნივთები და სამცულები. ქვისამარხების გათხრებსა და შესწავლას რმდენიმე წელი მოვანდომეთ. ამ ხნის განმავლობაში ხში-

რად გვესტურებოდნენ სამუშაოების სკოლის პიონერ-მომზადებები და გვეხმარებოდნენ კიდევაც მიწის სამუშაოებში. მათვე ვემაღლიერებით, რომ სოფლის შემოგარენში ბევრი არქეოლოგიური ძეგლის არსებობაზე მიგვანიშნება. კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაგნო ჭერმის ნაქალაქისაც-როგორც ისტორიული წყაროები გვიამბობენ, ქალაქი ვახტანგ გორგასალს აუგია და მტერს 502 წელს აუოხებია. დღეისათვის ნაქალაქარი მიწის ქვეშ არის მოქცეული. გათხრების შედეგად გაწმენდილია ციხე-დარბაზის კომპლექსი და სასახლე.

არქეოლოგიური ძეგლის აღმოჩენის შემთხვევაში მაშინვე უნდა დაუკავშირდეთ მახლობელ არქეოლოგიურ ბაზას. ასეთი ბაზები ჩვენი რესპუბლიკის უმრავლეს რაიონში არსებობს. დაიცავით ძეგლი და ნუ მისცემთ ვინებს საშუალებას, ის თვითნებურად გათხაროს. შემთხვევით ნაპოვნი უძველესი ნივთებით კი შეგიძლიათ მოაწყოთ სასკოლო არქეოლოგიური მუზეუმები, ასეთი მუზეუმები უკვე აქვთ გურჯაანის რაიონის სოფელ მელანის, საგარეჯოს რაიონის უდაბნოს, სიღნაღმის რაიონის ძეგლი ანაგის საშუალო სკოლებს. ამავე დროს, ნორჩ არქეოლოგებს შეგახსენებთ: საჭიროა ყველა ნაპოვნ ნივთს შეუდგინოთ თავისი პასპორტი:

- ნივთის სახელი და აღწერა;
- აღმოჩენის აღგილი;
- აღმოჩენის ვითარება;
- აღმოჩენის თარიღი;
- აღმომჩენის ვინაობა.

რაკი ძეგლების ნორჩ მეგობრებად თვლით თავს და არქეოლოგიით ხართ დაინტერესებული. ნუ მოაკლებთ ყურადღებას წარსულის ძეგლებს. გახსოვდეთ, თითოეული მათგანიდან საუკუნეები შემოვცემერინ. მათში შემონახულია ქართველი ერის ისტორია, კულტურა, არქეოლოგიური ძეგლი თქვენი წინაპერების, თქვენი ხალხის მეტყველი ისტორია. თვალისწინებით გაუფრთხილდით მას!

საუბარი ჩაიწერა  
ვლ. ასლამაზიაშვილი



ნივთის ვინება გადამუშაოება ხალხა  
გამოყიდვა ეს ლაბაზი დოკი



# კულტურული გენერაცი

ელევანტი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ლარიბი კაცი. კაცმა მდიდარი ქალი შეირთო ცოლად, მაგრამ სიმდიდრეს ბედნიერება არ მოუტანია მისთვის. ცოლი წამდაუწედ ამადლიდა თავის სიმდიდრეს, აგონებდა, ქვეყნად არაფერი გებადა და ცოლად რომ არ გამოგყოლოდი, ალბათ სილარიძეში ამოგებდოდა სულიო.

მობეზრდა ლარიბი კაცს ცოლის ყოველდღიური ყვედრება. იფიქრა, იფიქრა, მოიკიდა ზურგზე გუდა, დატოვა ცოლ-შვილი და გაუდგა გზას ბედის საძებნელად. გადაწყვიტა, ვიდრე ბევრ ფულს არ დავაგროვებ, შინ არ დავბრუნდებიო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გზაზე ერთი მოხუცებული შემოეყარა.

— საით გაგიწევია, მეგობარო? — პკითხა ბერიკაცმა.

— სამუშაოს საძებნელად, იქნებ საღმე მოჯამაგირედ დამაყენისო, — უპასუხა ლარიბმა.

— მაშ თუ აგრეა, ჩემთან წამოდი, ჩემთან კარგი სამუშაო გექნება. თუმცა ფულს ბევრს არ გპირდები, მაგრამ თუ პატიოსნად იმუშავებ, კარგ რჩევებს კი მოგცემ, ფულზე მეტად ისინი გამოგადგება. — უთხრა მოხუცმა.

დაიწყო ლარიბმა კაცმა იმ მოხუცებულთან მუშაობა. წელი წელს მისდევდა. ორივე კმაყოფილი იყო ერთმანეთისა. გავიდა ათი წელი და ერთხელაც მოხუცმა პკითხა:

— აბა, შვილო, დარჩები კიდევ ჩემთან?

— დავრჩები, ჩემო ბატონო, რატომაც არა.

დარჩა კიდევ ათი წელი ლარიბი კაცი მოხუცთან. ეს ათი წელიც მიიღოდა.

— აბა, შვილო, კიდევ ხომ არ დარჩები?

— მეტს ალარ დავრჩები, ჩემო ბა-

ტონო, ახლა კი დროა შინისკენ გავჰყვე გზას.

— კარგი, შვილო, იყოს ნება შენი. აი, აბგაში ერთ პურს ჩაგიდებ, მაგრამ სანამ შინ არ მიხვალ, მანამ ნუ გაჭრი. სამ რჩევასაც მოგცემ და კარგად დაიხსომე. პირველი რჩევაა, ჩხუბს სადაც შეესწრები გაეცალე, მეორეს იმას გირჩევ, ნავალ გზას უვალზე ნუ გაცვლი, და მესამეც — დღევანდელი გულისწყრომა ყოველთვის სახვალიოდ გადადე ხოლმე.

მადლობა გადაუხადა ლარიბმა კაცმა მოხუცს ლუკმაპურისთვის, კარგი რჩევებისათვის და შინისკენ გაუყვა გზას.

იარა, იარა და ერთ სოფელთან დაუღამდა კიდეც. ერთ სახლს მიადგა და ლამის გათევა ითხოვა. სახლის პატრონმა ნება დართო ლამე გაეთია. ის იყო უნდა დაწოლილიყო, რომ მასპინძელმა და მისმა ცოლმა ერთი ჩხუბი და დავიდარაბა

ატებეს. ლარიბი კაცს გარესტრირებულ ხუცის რჩევა, ლამეული მუშაობის უსურვა მოჩხებართ, გამოვიდა და ის ლამე მეზობლის სახლში გაათია.

დილას სოფელში დიდი ალიაქოთი ატყდა. ხმაურზე ლარიბიც ქუჩაში გავიდა. უეცრად, ვიღაც ეცა, მკლავში ჩააფრინდა და თან რაც ძალი და ღონე პქონდა გაპყვიროდა:

— ამ კაცმა მოკლა, აი, ამან!

ლარიბი კაცი გაოგნებული იყო, ვერ მიმხვდარიყო, რას აბრალებდნენ. თურმე სახლის პატრონი მოეკლათ. სწორედ ის, ვისაც პირველად ლამის გათევა სოხოვა. იმ კაცს კი, ვინც გაპყვიროდა, მკვლელი დავიჭირეო, თურმე თვალი შეესწრო, ლარიბი კაცი რომ მოკლულის სახლში შევიდა ლამის გასათევად, მაგრამ ის კი ალარ დაუნახავს, მალე რომ გამოვიდა იქიდან, ამიტომაც ის ეგონა მკვლელი.

ლარიბის ბედზე, მეზობელმა დაადასტურა, ეს ლამე ჩემთან გაათიაო, და ლარიბი კაციც გაუშვეს.

„რა კარგი ექნი, რომ ყურად ვიღე მოხუცის რჩევა“. — ფიქრობდა თავისთვის გზაზე მიმავალი ლარიბი კაცი.

დიდხანს იარა და ერთ ულრან ტყეს



შიადგა. ცოტა შეისვენა. ამასობაში ვიღაც სამი კაციც წამოეწია. ერთ-მანეთს გაეცვნენ და გზაც ერთად გააგრძელეს. კარგა ხანს რომ იარეს, ის სამი შეჩერდნენ და ერთხმად გადაწყვიტეს, მათთვის ნაცნობი მოკლე ბილიკით გაეგრძელებინათ გზა. დარიბ კაცსაც უთხრეს გაპყოლოდა მათ, მაგრამ იმას მოხუცის რჩევა გაახსენდა, გამოემშეიდობა თანამგზავრებს და ნავალ გზას გაუყვა.

მართლაც კარგი ქნა, რომ დაუჯერა მოხუცის რჩევას, რადგან მერე გაიგო, რომ იმ სამ კაცს ყაჩაღები დასხმოდნენ თავს და რაც ფული ჰქონდათ, სულ წაერთმიათ.

სალამო ხანი იყო, რომ მშობლიურ სოფელს მიაღწია. თავისი სახლის ეზოში შესულმა დაინახა, რომ მაგიდაზე სანთელი ენთო. იფიქრა, ჯერ არ დაწოლილანო და გადაწყვიტა, ჯერ ფანჯარაში შეეჭრიტა, ენახა თუ რას აკეთებდა ცოლი.

ცოლი მაგიდას მიჯდომოდა და ვახშმობდა, პირდაპირ კი ვიღაც წარმოსადეგი მამაკაცი ეჯდა. დარიბი საშინლად განრისხდა. იფიქრა, ჩემს არყოფნაში ცოლი გამითხოვდაო და გადაწყვიტა ეხლავე თოფის საშოვნელად გავარდნილიყო, რათა ცოლიც მოეკლა და ის მამაკაციც. მაგრამ უცრად მოხუცებულის რჩევა გაახსენდა: დღევანდელი გულისწყრომა სახვალიოდ გადასდე ხოლმეო. მიბრუნდა, სახლში შევიდა და იქ მყოფთ თავაზიანად მიესალმა. ცოლი გახარებული მოეხვია და კოცნა დაუწყო. მერე კი თავიანთი დავაჟაცებული შვილი გააცნო.

კიდევ კარგი, რომ მოხუცებულის ეს რჩევაც შევისმინეო, — ვაიფიქრა დარიბმა, მერე აბგიდან პური ამოილო, შუაზე გაჭრა და ოი, საოცრებავ, პურიდან ყვითლად მოელვარე ოქრო გამოიბნა. ახლა ცოლი უკან ვეუდარ დაყვედრიდა თავის სიმდიდრეს.

დარიბი უმდიდრესი კაცი გახდა სოფელში და ახლაც საამურავ და ბედნიერად ცხოვრობს.

უნგრულიდან თარგმნა  
ვაძლი იგერლიშვილია



# ჩატარებაზე კონცერტისას

## გაბრიელ ბარჯაძე

„თეთრი მარგალიტი“ — ღაბა ბაკურიანი თოვლის საბურულშია გამოიყენება.

მატარებლის სადგურიდან გუზა განცალკევებით მდგარი სახლისკენ ავიდეთ. ტყის პირას, ფერდობზე

მდგარი ამ კოპტია სახლის პატრონის ვინაობა ჩვენში კი არა, უცხოეთშიაც კარგად იციან. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დღეს ბაკურიანს უმთავრესად სწორედ „მურინავ ტორპედოდ“ წოდებული სახელოვანი სპორტსმენის — კობა უძაძის მეოხებით იცნობენ.



ორი „გვრინავი ტორპედო“ — გაბა-ზვილი კობა და ესა ზარაძეები.

მასპინძელთან ერთად დილიდანვე კოხტაგორას მივაშურეთ. ის იყო, საქართველოს „მფრინავ მოთხილა-მურეთა“ ვარჯიში იწყებოდა. მათი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი კობა წაქაძეა.

90-მეტრიანი ტრამპლინის საპა-კირო გზის ჭვედა საღვურში დაგვ-

კობას უველა სპორტული ჭაღწე-ვის ჩამოთვლა რომ დავიწყოთ, სა-მისოდ არც ღრმ გვეყოფა და არც ადგილი.

ზამთრის ოთხ თლიმპიურ თამა-შებში მიიღო მონაწილეობა, რვაჯერ გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატში, 21 წელიწადს შედიოდა სსრ კავში-



შპას დარჩა ოთხამდათათვათისანი ტრამპლინი.

ხვდა ტრამპლინიდან თხილამურე-ბით ხტომაში სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი (ახალგაზრდებს შორის) კინა წაქაძე.

— რატომ აგვიანებ ზემოთ ასვ-ლას? — ეკითხება კობა.

— ცოტას კიდევ დავიცდი, მოყი-ნულია ამ სისხამ დილით — თხილა-მური „გარბის“, — პასუხობს უმც-როსი წაქაძე თავის მწვრთნელსა და მამას.

კობა წაქაძე 1987 წლის ზაფხულ-ში დაინიშნა საქართველოს პოლი-ლამურეთა ნაკრების კონსულტან-ტად და სახელმწიფო მწვრთნელად.

— ცოტა ამ იყოს, დავაგვიანებ ტუ-რიზმის სამსახურიდან მწვრთნელად გადმოსვლა. უნდა გამოვტყდე — ეს გადმოსვლა კახამაც განაპირობა, — ამბობს სახელოვანი სპორტისმენი.

კობა წაქაძე უნიკალური მოვლე-ნია ქართულ სპორტში. და ჩაოდენ სასიხარულოა, რომ ამ ლეგენდა-რულ სპორტსმენს შვილიც სასახე-ლო ეზრდება. ასეთი შემთხვევა არცთუ ისე ბევრია დიდ სპორტში.

რის ნაკრებში... მისი ამ რეკორდე-ბის გამორჩება დღეს, ალბათ, შეუძლებელია...

გადავხედოთ პრესას:

„წაქაძე მსოფლიოში უდიდესია ტრამპლინიდან მხტომელთა შორის, მანამ, კიდრე 10 ფუტით არ მიუახლოვდება დედამიწას... მან გამოიგონა ხტომის ახალი სტილია და, როგორც ჩანს, არც კი გრძნობს, ამას... ჩვენ ყოველთვის ვთვლიდით, რომ ასე უნდა შეგვესრულებინა ხტომა, მაგრამ არ მეგონა, თუ ოდეს-მე მსგავსი სილამაზის ნახტომს ვი-ხილავდი... იგი წარმოუდგენლა მამაცი და გამბედავია“ („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1956 წელი).

მის თასებას და სხვა ჯილდოებს რომ გადახედოთ, თავი სპორტულ მუზეუმში გეგონებათ.

კობა 5 წლისა იყო, პირველად 100 მეტრზე თხილამურებით სრიალში რომ აკობა შეჯიბრების მონაწილე ყველა თანატოლს. მაშინ ის შოკო-ლადით დააჭილდოვეს.

— ახლაც მახსოვს იმ შოკოლადის,

გემო, — ელიმება წაქაძეს. მე- რე, ბაჟურიანში საღვუზონი ვართ ვარა მალლობია, უსამარტინო გავაკეთე „ტრამპლინი“ და ექვსი წლის ვიყავი პირველად რომ თხი-ლამურებით გადმოვხტო... მაშინ ყვე-ლას გვიჭირდა, ფეხებზე ქალამნები გვიცა. არც უსაქმოდ გვიყვა — და-ლით შეშა უნდა დამეჩესა, დედას საქონლის მოვლაში უნდა მივეხმარე-ბოდი. მხოლოდ ამის შემდეგ მივ-დიოდი სკოლაში...

კობა პირველად ექვსი წლის გადმოხტა ტრამპლინიდან. ბოლო ნახტომი კი 40 წლის ასკში შეა-რულა.

მისმა შეილმა და მოწაფემ — კა-ხა წაქაძემაც ექვსი წლის ასკში შე-ასრულა პირველი ნახტომი. ამჟა-მად იგი 18 წლისაა, თბილისის უნი-ვერსიტეტის იურიდიული ფაკულ-ტეტის 1-ლი კურსის სტუდენტის 18 წელი „მფრინავი მოთხილამური-სათვის“ დიდი სპორტის დასაწყისია. გამოცდილება შემდეგ მოდის, მოგ-ვინებით.

70-მეტრიანი ტრამპლინის ბაქან-თან მისულებს კობა უკვე იქ დაგ-ვხვდა, ხის ნიჩბით ტრამპლინის შო-სარკულ ქანობზე თოვლის ოდნავ შესამჩნევ უსწორმასწორო ზედა-პირს ასწორებდა: სადაცაა, ნაკრე-ბის წევრები სახტომად დაშვებას დაიწყებდნენ.

კობასთან ერთად კიბით ტრამპ-ლინის სათვალთვალო ვერანდაზე ძვდივართ. ქედან საუცხოოდ მო-ჩანს ტრამპლინის ყველა მონაკვეთი.

— ჯერ იმიტაცია: ფეხები — ახლოს! მუხლების კონტროლს ნუ ღაივიშ-უებთ! — ისმის კობას ხმა.

ტრამპლინის თავზე ასულთაგან პირველი კახა ეშვება, ვერანდიდან რამდენიმე მეტრის იქით, სივრცეში გიგანტური ფრინველივით გაიშეუი-ლა ფართო, ლაპლაპა თხილამურზე ოდნავ დახრილად გარინდულმა ჭა-ბუკის მკვრივმა ფიგურამ. და მე-რე წამში დატეკნილი თოვლის ფერდობზე დაეშვა.

— ოთხმოცი მეტრია, — ჩაილა-პარაკა კობამ.

პირველ ნახტომს მეორე მოჰკვა.

შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება. ლია საბაგირო სკამით კვლავ ტრამპლინის მწვერვალისკენ აღიან მხტომელები. ამსვლელებს კობას ხმა მიჰყვებათ თან: „ბოლო ნახევარში უნდა გაიწელოთ. ფარხმალს ნუ ჰყრით!“.

ბაქურიანში იმ დღეს მზიანი ამინდი იდგა, თოვლის საფარი კი ერთ მეტრს აჭარბებდა. თურმე ნუ იტყვით და, აქ ზამთრობით უფრო მეტი მზიანი ამინდია, ვიდრე ზაფხულში.

— ასეთი იდეალური ამინდი ჩვენი სპორტსმენებისათვის არცთუ ისე სახარბიელო გამოდგა: სხვაგან ზამთრის სპორტულ ბაზებზე იშვეათია მზიანი და კარგი ამინდი, ამიტომ სპორტსმენებიც მუდამ მზაღ არიან ხოლმე ქარბუქისათვის, — გვიხსნის კობა.

— ბავშვი 5 წლის ასაკიდან შეიძლება დადგეს თხილამურზე. თოვლში, სუფთა ჰაერზე სრიალი ხომ ისე-დაც საუკეთესო ვარჯიშია, — განაგრძობს წაჭაძე. — სათხილამურო სპორტი დროულ აღზრდას მოითხოვს. ყველას ეს ჩვენი ბაზა არ ეყოფა. ტრამპლინიდან ხტომა ისე განვითარდა, რომ აუცილებელი აღარ არის ბაქურიანი: ხელოვნური ტრამპლინის გაკეთება, მაგალითად, თბილისშიც შეიძლება...

— მსოფლიო თასის გათამაშება ამ ბოლო დროს დეკემბრის დასაწყისში იწყება ხოლმე, აღრე. ჩვენს დროს, ეს წარმოუდგენელი რამ იყო.

ახლა კი ამ ასპარეზობისათვის უკვე ზაფხულშივე, ხელოვნურ ტრამპლინზე ემზადებიან...

— ტრამპლინიდან ხტომებს სპეც თოვლი არ უნდა, როგორც, მაგალითად, სლალომს. ქართველი ბავშვები, დარწმუნებული ვარ, შეიყვარებენ მცირე ზომის ტრამპლინს. ხელოვნურ ტრამპლინზე თავისუფლად შეიძლება 10 წლის ბიჭების ვარჯიში. ასეთი ხელოვნური ტრამპლინის გაკეთება პიონერთა სახლების საქმეა...

— ბევრ ქვეყანაში სამთვიანი არ-დადგები ზამთრობით აქვთ, იმიტომ, რომ კარგად ისრიალონ და დასუცხნონ სუფთა ჰაერზე. ჩემი აზრით, ბაქურიანში უნდა შეიქმნას სპეციალური სკოლა. ამგვარი სკოლა დიდ სპორტს უნდა ემსახურებოდეს. საგნებიც სპორტული პროფილისა უნდა იყოს...

კობა მხტომელებს მიუბრუნდა:

— ხელები — ახლოს! ზედ გაჟყვევით თხილამურს!

ამასობაში ბიჭები 6-6-ჯერ მაინც გადმოხტნენ.

90 მეტრიანი ტრამპლინიდან ხუთჯერ გადმოხტომა 50 კილომეტრზე რბენის ტოლფასიამ, — ამბობენ სპეციალისტები. ფიზიკური დატვირთვა ამ დროს თითქოს დიღი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, ფისტოლოგიური დატვირთვაა დიღი; მხტომელი ხომ თავს ებრძვის! ფრენის დროს იგი ცდილობს რაც შეიძლება შორს გადახტეს. მშიშარა კაცი




კი აქ უბრალოდ, ვერაფერს მიაღწევს.

ბაქურიანიდან რომ ვბრუნდებოდით, კობა წაჭაძის გასაოცარ პუნქტუალობასა და წესრიგიანობაზე ვფიქრობდი — იმთავითვე ასეთი იყო, ახლაც ასეთად დარჩა.

— ოჯახში ცხვარ-ძროხა გვყავს. ჩემი შვილები უსიტყვოდ აკეთებენ ყველაფერს, რაც საჭიროა. სწავლა-საც ასწრებენ. არც სპორტში ჩამოუარდებიან სხვებს, — ამბობს კობა წაჭაძე.

სახელოვანი მამის მაგალითი გამდებად მოქმედებს შვილებზე...



მზიანი ბაზის საგარეო გარე განთხილაშია



କେନ୍ଦ୍ର ପାରିଷଦଙ୍କ କମିଟୀ ରାଜସ୍ଵଳା

ଶ୍ରୀମଦ୍ ପାତ୍ରକାଣନ୍ଦନାକାନ୍ତିକା ପାଠ୍ୟଗୁଡ଼ିକ

No 3

**ରେବଳ  
ରୁଚୋଳ**

მინდა მოვითხროთ იმ რაზმის სა-  
ქმიანობაზე, რომელსაც მე ვხელმ-  
ძღვანელობ. ჩვენი, მე-3 რაზმი ხუ-  
ლოს რაიონის წაბლანის საშუალო  
სკოლის ზოია ქოსმოდემიანსკიას  
სახელობის პიონერული რაზმეუ-  
ლის ერთ-ერთი საუკეთესო რაზმია.

ორვეს. საკუთარი შრომით გამო-  
მუშავებული თანხა მშვიდობის ფო-  
ნდში გადავრიცხეთ. ვშეფობთ ჩვე-  
ნი სოფლის მეცხოველეობის ფერ-  
მას. მოგვწონს ფერმაში მუშაობა,  
არაერთმა ჩვენგანმა გადაწყვიტა სა-  
შუალო სკოლის დამთავრების შემ-  
დეგ სოფელში დარჩენა და მშობ-  
ლების მხარდამხარ აქ შრომა.

ვცდილობთ, არ გავაფერმჴრთა-  
ლოთ რაზმში არსებული ეს შრომი-  
სმოყვარე, ხალისიანი განწყობილე-  
ბა. კარგი მოსწავლე-პიონერები მუ-  
დამ მხარში უდგანან სწავლაში ჩა-  
მორჩენილებს. ზაზმის თითოეული  
პიონერი ზრუნავს დისციპლინის გა-  
ნმტკიცებისათვის. შედეგებიც ვვაქვა:   
თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა გა-  
ჭვეთილების უმიზეზოდ გაცდენა,  
სკოლის პიონერთა ოთახს ჩვენი რა-  
ზმის მიერ გაფორმებული არაერთი  
ლაშაზი თემატური ალბომი და კედ-  
ლის გაზეთი ამშვენებს. ხელმარჯვე  
კოგო-ბიჭებისთვის სპეციალური  
კუთხე გამოვყავით. რას არ ნახავთ  
ჯე — ბიჭების მიერ დამზადებულ

ურემსა და გუთანს, ბაზოდი წილი  
ჩაბს, კალათებს, გოგონების ნაქარ-  
გებსა და ნაქსოვებს.

საინტერესოდ საქმიანობენ რაზ-  
მის ნორჩი ინტერნაციონალისტე-  
ბიც, ჩვენს რაზმს მეგობარი მრა-  
ვალი ჰყავს კალინინგრადის, მოს-  
კვისის, ლიტვის საშუალო სკოლებ-  
ში. მათთან მიმოწერა ხალისს ჰმა-  
ტებს ჩვენს ყოველდღიურ პიონე-  
რულ ცხოვრებას. კმაყოფილები  
ვართ რაზმის წითელკვალმაძიებელ-  
თა მუშაობითაც, მათ ხომ უკვე ათო-  
ბით შინმოუსვლელის ბიოგრაფია  
შეისწავლეს, სკოლაში სამამულო  
ომის ვეტერანთა არაერთი ნამიბო-  
ბი მოიტანეს, ლამაზი ალბომები შე-  
ადგინეს. ეს ალბომები და შიგ მო-  
თავსებული ძვირფასი ჩანაწერები  
სკოლას ჩვენი რაზმის სამახსოვროდ  
დარჩება.

მალეაზ პარაშივი,  
მე-8 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე,  
ხულო, წაბლანის საშუალო სკოლა.

## ლელაბაგაზე

ორი სკოლის პიონერული  
აქტივის მეცნიერობა ყოველ-  
თვის მისახალმებრივია. მეცნი-  
ერულ ურთიერთობას აუცი-  
ლებლად თან მოძყვება გამო-  
ცდილების გაზიარება; ეს კი  
ახლა ძალზე ხაიროთ პიონე-  
რული კოლექტიუმებისათვის,  
რომელიც დღეს პიონერთა  
IX საკავშირო შეკრების გა-  
დაწყვეტილებათა შუქრე წარ-  
მართვენ მუშაობას. მიმდინა-  
რე გარდაქმნის პროცესი პი-  
ონერთა ორგანიზაციაშიც მო-

ითხოვს ასეთ ურთიერთობას.  
დაწყებით კი, უველაფერი  
ასე დაიწყო:

— የጠጋዣ አዋሱምንት ማይኝ  
መጠናቸውን ተ ጥሩባናኩርያውን ስብ  
ብድርናኩር ይጠናልለምበስ የጥጋ-  
ሚያስ?

— კეთდება კი საკუთრებელი

ისე, როგორც ეს შეკრების  
გადაწყვეტილებაშია აღნიშნუ-  
ლი?

— ଏହାକେ ପ୍ରସରିଲାକେ ଶ୍ଵରତ  
ତ୍ୟାଗିନୀଙ୍କ ଧ୍ୟୋନ୍ତାରେବୀ ହେଉଥିବା  
ଗୁଣାଙ୍କ ଦୀର୍ଘ ମୌଳିକ, ମୌଳିକିତା  
ନିବିନ୍ଦନ ଦ୍ୱାରା ଉଚ୍ଚତାରେ ଗୋଟିଏବର୍ଷରେ,  
— ଏହି ବାଦାର୍ଥପୂର୍ବା ମିଶ୍ରତୀକିରଣ କା-  
ର୍ଯ୍ୟାନିକ କ୍ଷେତ୍ରରେ ଅନୁଭବୀ ହେ-

ოთხიან სოფულ გრძელების ა-  
შუალი სკოლის რაზმეულის  
საბჭოში, და აქაურმა პიონე-  
რებათ თბილის 85-ე სკოლის  
რაზმეულის საბჭოს თავმდო-  
მარეს, პიონერთა IX საკავ-  
შირო შეკრების დღევაგატს ნა-  
ნი გუგავას მიაკითხეს. ნანიმ  
მათ პიონერთა ოთახში უმას-  
პინძლა, აჩვენა პიონერთა IX  
საკავშირო შეკრების შემდეგ  
მისი რაზმეულის მუშაობის  
ამსახველი მასალები, გააცნო  
აქტივისტები, რაზმეულის სა-  
ბჭოს წევრები, პიონერინ-

სტრუქტორები, რომლები იც  
მუშაობას პიონერთა ინტერე-  
სების გათვალისწინებით უძლ-

კებიან, გლდანში ჩასვლასაც  
დაპირდა. ერთ ზაბათ დღეს,  
გაკვეთილების შემდეგ, ნანი  
პონერთა IX საკავშირო შექ-  
რების თბილისელ დელეგა-  
ტებთან, ხატია გიორგობიან-  
თან და მიშიკ გიორგაძეს-  
თან (87-ე სკოლა), ნიკოლოზ  
ბერიაშვილთან (მე-40 სკოლა)  
და 85-ე სკოლის უფროს პი-  
ონერხელმძღვანელ ლია ხამა-  
დაშვილთან ერთად ჩაიდა  
გლდანში. მასინძლებმა, ჯერ  
იყო და, წარსულში სახელ-  
გათქმული მოჰილავე ბიო  
ცნობილი ძელთადველი სოფ-  
ლის — გლდანის ისტორია  
გააცნეს სტუმრებს, შემდეგ  
ყველანი ერთად სკოლის დიდ  
დარბაზში შეიკრიბენ. აქ გა  
იმართა ამ სოფლისა და თბი-  
ლისელ პიონერთა შეხვედრა-  
ოსსახია.

ରୁକ୍ଷେ ପାଠୀନ୍ଦ୍ରଶ୍ଵରମଧ୍ୟରେ ଅଣ୍ଡାକାଳୀ  
ମଧ୍ୟରେ ଆଶ୍ର୍ଯୋଲିପି; ହାତମ୍ଭୁଲୀରେ  
ସାଦକ୍ଷେତ୍ର ତାଙ୍କରିଦିନମାର୍ଗ ତର୍ଫା  
କୁଣ୍ଡିଲାଶ୍ଵୋଲିପି „ଏରିଟ୍ରୀଶି“ ଏତ-  
ମହିନରେ ଗାଢ଼ାକାଳୀପି; ପ୍ରେସା-  
ର୍ଯ୍ୟାର୍କ୍ସ ହାତମ୍ଭୁଲୀରେ କ୍ରେମିଲଦିଲାକାଳୀ-  
ତା ରାତିମାର୍ଗରେ ମିଳେ ମାନାଦିଗୁ-  
ଣ୍ଟ ତା ହାତମ୍ଭୁଲୀରେ ସାଦକ୍ଷେତ୍ର  
ଚାରିରେ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ ଥିଲା.

ტერესებდათ, როგორ მიმდინარეობდა გარდაქმნის პროცესი 85-ე სკოლის რაზმეულში

## აცოცხეა

როცა ცაში თვითმფრინავს ვხე-  
დავ, მინდა, მურინავი გავხდე და  
დედამიწას გარს შემოვუფრინო. ზო-  
გერ გემის კაბიტანი მინდა ვიყო,  
რომ ზღვები და ოქანეები გადავ-  
სერო. ხანაც ინუინრობა მინდა, რომ  
ყველას მაღალი, ლამაზი სახლები  
ავუშენო.

მამის პროფესია — მათემატიკო-  
სობაც რომ ძალიან მიტაცებს? დე-  
დასავით უურნალისტობაც რომ მო-  
მწონს? ხანდანან თავს მწერლად წა-  
რმოვიდგენ — თითქოს მაგიდასთან  
ვზიარ და გატაცებით ვწერ უამრავ  
საინტერესო ზღაპარსა და მოთხ-  
რობას.

ამას წინათ ჩემმა უფროსმა ბიძა-  
შვილმა მედეა ჭიხორიამ თხელი,  
ლიმაზი წიგნი მაჩუქა, დიდი სიყ-  
ვარულით გაუფორმებია ჩვენთვის,  
ბავშვებისთვის. ამ წუთიდან ახალი  
ოცნება გამიჩნდა — მხატვრობა მე-  
ნატრება. თითქოს ვხედავ კიდეც  
ჩემს დახატულ ვებერთელა ყვითელ

მზეს და მის მაცოცხლებელ სხივებს  
დედამიწის ყველა ბავშვს ვუნაწი-  
ლებ.

გაგა პიხორია,  
საჩხერე, ბაჯითის რვაწლიანი  
სკოლა, VI კლასი.

## ილიას

შენს წიგნებზე აღვიზარდეთ  
და შენს სახელს ვუნთებთ სანთელს,  
მშობელ მამად მოევლინე  
ბედისაგან ნატანჯ ქართველს.  
ყველგან ჩასწვდა შენი ნიჭი,  
შენა სული ცას შეეხო.  
ვაი, როგორ გაგიმეტეს,  
ახლაც მაკრთობს იმ დღის ექო.  
კინატრებდი შენს სიმალლეს,  
შენს გონებას, შენს იერსო.  
ბეჭერაზო, ზვარაკივით  
შეეწირე ქართველ ერსო.

## განთიადი

დამის წყვდიადში ჩაძინებულ  
ალუბლის ტოტებს  
გადაუვარცხნა თმები ნაზად ნიავმა  
ცისქრის.

მნათობმა შუქი მოაფინა  
მთვლემარე მიწას,  
სიმუქე სწრაფად იფანტება, სიძნელე  
მიპქრის.

ცაში აიჭრა სიხარული მინდვრის  
ყვავილთა,  
დააპაჭუნეს თვალი თეთრმა  
ლრუბლის ქულებმა,  
მოედო სივრცეს აღმაფრენა  
განთიადისა,  
ლხენით აივნენ, შვებით იწყეს  
ძერა გულებმა.  
ამღერდა წყარო, აჩურჩულდნენ  
ტყეში ხეები,  
უფრო და უფრო გალამაზდა მთაზე  
აისი,  
ცეცხლი დანთო საცეცებით  
წითელმა ბურთმა,  
შორს კი სხივებით დაჭრილ დამის  
კვნესა გაისმის.

ნესტან ნადირაძე,  
თბილისი, 162-ე საშუალო  
სკოლა, VIII კლასი/

არის თუ არა რაზმის ყველა  
პიონერი მისი მონაწილე, რა-  
ტომ ვერ გრძნობენ პიონერე-  
ბი თავს თავიანთი ორგანიზა-  
ციის ბატონ-პატრონად, ხომ  
არ უჭირო რაზმის ხელმძღვა-  
ნელებს მუშაობა და ა. შ. დე-  
ლელებაზებათან ერთად დისკუსი-  
აზი მონაწილეობდნენ აგრეს-  
თ გლდანის სკოლის ყოფი-  
ლი პედაგოგი, ამ ხოლის ერთ-ერთ პირველი პიონერი  
ელენ გიორგობიანი, ყოფი-  
ლი პიონერხელმძღვანელი, ამ-  
უამად კი სკოლის დირექტორი  
ნაწული ღილაშვილი (14 წელი  
იმუშავა მან ამ სკოლაში უფ-  
როს პიონერხელმძღვანელად),  
თბილისის 85-ე სკოლის უფ-  
როსი პიონერხელმძღვანელი  
ლია სამადაშვილი, კომკავში-  
რის მცხეთის რაიონშის მეო-  
რე მდინარი ლია ხაჩიაშვილი,  
პიონერთა სახლის დირექტო-  
რი გურამ სართანია და სხვე-  
ბი.

პიონერთა IX საკავშირო  
შეკრების დელეგატებში მას-  
პინძლებს უჩვენეს „არტეკში“  
დელეგატებისთვის გადაცემუ-  
ლი სამახსოვრო საჩუქრები,  
ჩასწრინეს შეგობრების მისა-  
მართები, შეასრულეს სიმღე-  
რა „არტეკში“.

გლდანის და თბილი სის 85-ე სკოლის რაზმეულის სა-  
ბეჭების წევრებმა აქვე დათ-  
ვებეს, რომ კლავაც გააგ-  
რძელებენ სოცლისა და დე-  
დაქალავის სკოლის პიონერთა  
ურთიერთობას. ნანი გუგავაზ  
თავისი რაზმეულის სახელით  
გლდანელებს დახმარება აღუ-  
სქვა. მომავალ შევეღრებ-  
ზეც შეთანხმდნენ, ამგერად  
პიონერთა ორგანიზაციის გა-  
რდაქმნა-განაზღების საკითხე  
იმსჯელებენ, მოაწყობენ დის-  
კუსიას თემაზე — „ჩენი პი-  
ონერულ ტრადიციები“. აქ-  
ვე თითოეულს დაურიგდა ფუ-

რცლები შემდეგი შეკითხვე-  
ბით:

— თუ პიონერი ახლახან  
გახდი, გაგიზარებ, რა ცვლი-  
ლებებს ამჩნევ შენს ცხოვრე-  
ბაში, ან რა წინააღმდეგობებს  
აწყდები?

— არა წარმოადგენს შენი  
სკოლის პიონერთა ოთახი,  
პიონერთა თავშესაკრები შტა-  
ბია იგი თუ კლუბი? ან იქნებ  
სხვადასხვა წლების პიონერთა  
თაობების საქმიანობის ამსახ-  
ველი მასალების მუშეუმად  
იქცა? სად ინახება პიონერუ-  
ლი ატრიბუტები წესების მქა-  
ცირი დაცვით? მომავალში რო-  
გორ წარმოიდგინიათ ოქვენი  
პიონერთა ოთახი?

— ყველაზე მეტად შენი  
რაზმეულის პიონერი აქტი-  
ვისტების რა თვისებები მოგ-  
წონს?

— არის თუ არა შენი რა-  
ზმი ისეთი საქმე მოძებნი-



ლი, რომელმაც ყველა პიონე-  
რი დაამეგობრა?

— რა წინადაღებები გე-  
ნება, რომ ქვეყნის პიონერთა  
ორგანიზაცია მომავალში უფ-  
რო ბრძოლისუნარიანი გახ-  
დეს?

გლდანელი პიონერები მო-  
მავალშიც თბილისის 85-ე  
სკოლის პიონერებთან ერთად  
იბრძოლებენ პიონერთა IX  
საკავშირო შეკრების გადაწყ-  
ვებისთვის შესასრულ ებ-  
ლად და ამ საქმეში თვით შე-  
კრების დელებაზთა წვლილიც  
იქნება.

ნათელა ცაილონი

მხატვარი  
გივი ნონიკაზილი

ა თ თ ხ რ თ ბ ა

# უვავზა მინაშე

მოსაწყენია ამ ქვეყნად ცხოვრება აფონიასთვის. მამა ომშია, დედა დილიდან საღამოდე — კოლმეურნეობის მერძევეობის ფერმაში, ტიტე ბაბუას კი სულ დუმელზე სძინავს, სძინავს დილითაც, სძინავს ღამითაც; დილითაც კი თვლემს, როცა იღვიძებს და რძიან ფაფას მიირთმევს.

— ბაბუ, არ დაიძინო, უკვე გამოძინებული ხარ, — უთხრა დღეს დილით აფონიამ.

— არა, აუონუშე, არ დავიძინებ, — უპასუხა ბაბუამ. — ასე ვიქნები წამოწოლილი, და გიყურებ.

— მაშ, რატომ ხუჭავ თვალებს და არაფერს მელაპარაკები? — ჰკიოხა მაშინ აფონიამ.

— დღეს თვალს არ მოვხუჭავ, — შეპირდა ტიტე ბაბუა. — დღეს მთელი დღე სინათლეს ვუყურებ.

— ისე რატო, შენ რომ გძინავს და მე არა?

— მე ხანმოთეული ვარ, აფონუშე... ოთხმოცდათს სამი წელი მიკლია. თვალები თავისთავად მებლი-ტება.

— მერე, ძილის დროს რომ სიბნელეში ხარ? — უთხრა აფონიამ. — ეზოში მზე ჩახჩახებს, ბალაზი იზრდება, შენ კი გძინავს და ვერაფერს ხედავ.

— მე უკვე ყველაფერი ვნახე, აფონუშე.

— თვალები რაღად გაქვს თეთრი და თითქოს ცრემლებით მტირალი?

— თვალები გამომიხუნდა, აფონუშე, სინათლისაგან გამომიხუნდა და დამიუძღვრდა. მე ხომ დიდხანს მომიწია ქვეყნიერების მზერა.

აფონიამ ბაბუა შეათვალიერა, როგორ გამოიყურებათ. წერებში ბაბუას პურის ნამცეცები ჩარჩენდა და შიგ ერთი კოლც დასახლებულიყო. აფონია სკამმერხზე შედგა და წერილიან პური ამოუკრიფა, კო-

ლო კი გამოდენა, — გაუშვი ცალკე იცხოვროსო. ბაბუას დიდი, დაკოურებული ხელები მავიდაზე უღონოდ ეწყო, ხელების კანი ხის ქერქივით ჰქონდა გახეშეშებული, კანქვეშ კი მსხვილი შავი ძარღვები მოუჩანდა. ბევრი მიწა გადაეხნათ ამ ნაჯაფ ხელებს.

აფონიამ თვალებში ჩახედა ბაბუას. მოხუცს თვალები ეხილა, მაგრამ მზერა გულგრილი, უჩინო ჸქონდა. ორივე თვალში თითო მსხვილი ცრემლი უკიაფებდა.

— ნუ გძინავს, რა, ბაბუ! — შეევერა აფონია.

მაგრამ ბაბუას უკვე ეძინა. დედამ მძინარეს ლუმელზე ფეხები ააწევინა, საბანი წაახურა და სამუშაოდ წავიდა. აფონია კი მარტო დარჩა ქოხში და კვლავ მოწყენილობა მოერია. ხის მავიდას ირგვლივ უვალიდა, აკვირდებოდა ბუზებს, რომლებიც ბაბუას მიერ იატაზე ჩამობნეულ პურის ნამცეცებს დახეოდნენ. ზოგჯერ ლუმელთან მივიღოდა, ბაბუას სუნთქვას ყურს მიუგდებდა, ფანჯრიდან უკაცურ ქუჩას გახედავდა და უსაქმობისაგან კვლავ მაგიდის ირგვლივ ბოდიალს მოპყვებოდა.

— არც დედაა, არც მამა, ბაბუას სძინავს, — ბურტყუნებდა აფონია თავისთვის.

მერე კედლის საათს ახედა. საათი ზანტად და მოსაწყენად მიზოზინებდა — ტიკ-ტაკ, ტიკ-ტა! თითქოს ბაბუას უნანავებს, თვითონ კი ისეა დაქანცული, რომ სადაც არის, ჩაეძინებათ.

— გაიღვიძე, ბაბუ, — შეეხვეწა აფონია. — გძინავს?

— ჲა, არა, არ მძინავს, — გამოეხმაურა ტიტე ბაბუა ლუმელიდან.

— ფიქრობ? — შეეკითხა აფონია.

— ჲა, აქა ვარ, აფონია, აქ!

— იქ რომ ხარ, ფიქრობ? — ჲა, არა, აღარა ვფიქრობ უკაველაფერი ნაფიქრი მაქსიმურობული წუშე, ახალგაზრდობიდან ვფიქრობდი.

— ბაბუ, ნუთუ ყველაფერი იცი?

— ყველაფერი, აფონია, ყველაფერი.

— რა არის ეგ, ბაბუ?

— რა ეგ, აფონუშე?

— რა არის ეგ ყველაფერი?

— უკვე დამავიწყდა, აფონია.

— გაიღვიძე, ბაბუ, გაიღვიძე და ყველაფერზე მიამბე.

— ა?! — წარმოსოქვა ბაბუა ტიტე.

— ბაბუ, ბაბუ! — ეძახდა აფონია. — გაიხსენე, გაიხსენე!

მაგრამ ბაბუა უკვე დუმდა, რუსული ლუმელის სიმყედროვეში მიძინებული.

მაშინ აფონია თავად აძვრა ლუმელზე და მოხუცს ნჯლრევა დაუწყო, რომ გაეღვიძებინა. ბაბუას ეძინა და ბურანში გაურკვეველ სიტყვებს ჩურჩულებდა. არაქათი გამოეცალა აფონიას, ჩაეკრა კეთილ, ნაცნობ მექრდს, რომელსაც თბილი მიწის სუნი უდიოდა და თვითონაც ჩაეძინა ბაბუას გვერდით.

როცა გამოეღვიძა, დაინახა, რომ ბაბუა მას შესჩერებოდა, აღარ ეძინა.

— ადექი, ბაბუ, — უთხრა აფონიამ. ბაბუამ კი ისევ თვალი მიღულა და ჩაიძინა.

აფონია მიხვდა, რომ ბაბუა მაშინ ფხიზლობდა, როცა მას ეძინა, და მოუნდა, აღარასოდეს დაეძინა, თვალმოუშორებლივ ეყურებინა ბაბუას-თვის და მთლად გაღვიძებული მოეხელთებინა.

და აფონია ლოდინად იქცა. ტიკ-ტიკებდა კედლის საათი, წრიპინებდნენ და მღეროდნენ მისი პატარა გორგოლაჭები, თითქოს ბაბუას უნავებენო.

აფონია ლუმელიდან ჩამოძრა და ქანქარა გააჩერა. ქოხში სიჩუმე ჩამოწვა. მდინარის გაღმიდან მთიბავის ცელის ხმამ მოაღწია, ჭერქვეშიდან ქინქლას წუილი მოიხმა.

ტიტე ბაბუას გამოეღვიძა და იკითხა:



— რაღაც ხმაურია!.. რა იყო, აფონია, შენ ხმაურობდი?!

— ნუ გძინავს, — უთხრა აფონიამ. — მიამბე კველაფრის შესახებ... დედამ თქვა, დიდი დღე აღარ დარჩენია, შენ კიდევ გძინავს და გძინავს, მერე მოკვდები და ვინ მიამბობს კველაფრის შესახებ?!

— მოიცადე, ჯერ ბურახი დამალევინე, — თქვა ბაბუამ და ღუმელიდან ჩამოვიდა.

— გამოფხიზლდი? — პკითხა აფონიამ.

— გამოფხიზლდი, — უპასუხა ბაბუამ. — ახლა წავიდეთ, მზის შექი შევსვათ.

მოხუცმა ბურახი დალია, აფონიას ხელი ჩაპეიდა და ქოხიდან გარეთ გავიდნენ.

მზე მაღლა იდგა, ყანაში სიმწიფეშესულ ჟურს და გზის მიჯნებზე ამოღალანებულ ყვავილებს დაპნათოდა.

ბაბუამ აფონია მინდვრის ბილიკით საძოვარზე გაიყვანა. იქ ყვავილები, ბალახი და გემრიელი სამყურა იზრდებოდა. მოხუცი წვრილ ქვიშიში ფეხსვადგმულ ცისფერ ყვავილთან შედგა, ბიჭს დაანახა, მერე დაიხარა და ფრთხილად შეეხო.

— ეგ ხომ მეც ვიცი! — გაწელა აფონიამ. — მე ის მინდა გავივო, რაც ყველაზე მთავარია. ყველაფერზე მეღაპარაკე! ეს ყვავილები კი თავის-თვის იზრდება. ყველაფერი ეგ ხომ არ არის?!

ბაბუა ჩაფიქრდა, მერე შვილიშვილს გაუგულისდა.

— სწორედ რომ ეგ არის ყველაზე მთავარი! ვერა ხედავ, მკვდარი ქვიშა ყრია, მხოლოდ ქვის ნაფხვენებია და მეტი არაფერი, ქვა კი უსულოა, არც სუნთქვას, არც ფეთქვას, მკვდარი მტვერია, გაიგე?!

— ვერა, ბაბუ, ვერა! — თქვა აფონიამ, — ვერაფერი გაპიგე.

— ვერ გაიგე? მაშ, რაღა გინდა, თუ ასეთი გაუგებელი ხარ? ყვავილი, ხედავ, თუმცა თითქოს ასე საცოდავია, ცოცხალია; საკუთარი სხეული თავად შექმნა მკვდარი მტვრისაგან, ფხვიერი, უსულო მიწა ცოცხალ სხეულად აქცია და წმინდა სურნელებასაც აღმოაქმევს. აი, რა არის ყველაზე დიდი საქმე ქვეყნიერებაზე! აი, საიდან მოდის ყველაფერი! ეს ყვავილი ყველაზე წმინდა მუშაკია, რადგან თავისი შრომით სიკვდილისაგან სიცოცხლეს მოძე.

— ბალახიც და ჭავიც მთავარს აეკითხებენ? — პკითხა აფონიამ.

— ერთნაირად, — უპასუხა ტიტე ბაბუამ.

— ჩვენ?.. მე და შენ?

— ჩვენც!.. ჩვენ ვენავთ, აფონუშეა, პურს ზრდაში ვეხმარებით. აი, ამ ყვითელი ყვავილებიდან კი წამლებს ამზადებენ. აფთიაქშიაც მიაქვთ. მოდი, დაკრიფე და წაიღე! მამაშენი ხომ ომშია? ერთიც ვნახოთ და დაჭრეს, ან ავადმყოფობამ დაასუსტოს, მაშინ წამლებით უშველიან.

ბალახებსა და ყვავილებში ჩამდ-

გარი აფონია ჩაფიქრდა. მასაც მოგვიანებულდა, როგორც ყვავილს, სიკვდილის დან სიცოცხლე შეექმნა. ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ იბადებოდნენ ფხვიერი და მოსაწყენი ქვიშიდან ცისფერი, წითელი, ყვითელი ბედნიერი ყვავილები, რომელთაც კეთილი სახეები ცისკენ პქონდათ აღერილი და ქვეყნიერებას სუფთა სურნელს პფენინენ.

— ახლა თვითონ ვიცი ყველაფერი!

— თქვა აფონიამ. — წადი ბაბუ, სახლში. მგონი ისევ ძილი მოგერია: თვალები თეთრი გაქვს... წადი, დაიძინე, და როცა მოკვდები, ნუ შეგეშინდება, ყვავილებისაგან შევიტყობ, როგორ ცოცხლდებიან ისინი მტვერიდან... და შენც მტვერიდან გაგაცოცხლებ. ნუ შეგეშინდება, ბაბუ, ნუ!

ტიტე ბაბუას არაფერი უთქვაშს. შეუმჩნეველად გაუღიმა კეთილ შვილიშვილს და ქოხისაკენ გასწია, სადაც თბილი ღუმელი ელოდა.

პატარა აფონია კი მარტო დარჩა ყანაში. იმდენი ყვითელი ყვავილი დაკრიფა, რამდენიც ხელში დაეტეოდა, და აფთიაქშიაკენ გაეშურა; ვინ იცის, მამას ომში რა წამალი დახჭირდებოდა.

ამ ყვავილებისათვის აფონიას აფთიაქში რკინის სავარცხელი მისცეს. მან იგი ბაბუას აჩუქა, — და, დღეიდან ბაბუამ ამ სავარცხლით წვერი დაივარცხნოს.

— გმადლობ, აფონუშეკა! — უთხრა ბაბუამ. — ხომ არაფერი უთქვაშთ ყვავილებს შენთვის, როგორ ცხოვრობენ მკვდარ მიწაში?

— არაფერი, — უპასუხა ბიჭმა, — აი, შენ რამდენი ხანი იცოცხელ და მაინც არ იცი. აკი ამბობდი, ყველაფერი ვიციო. არ იცი, არა.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა მოხუცი.

— ისინი ჩუმად არსებობენ, უნდა ჩავეძიოთ, — თქვა აფონიამ. — რატომ არიან ხელ ჩუმად? ხომ იცია?

ბაბუამ მშვიდად ჩაიღიმა, შვილიშვილს თავზე ხელი გადაუხვა და ისე შეხედა, როგორც მიწაზე ამოხარებულ ყვავილს. მერე სავარცხელი უბეში შეინახა და ისევ დაიძინა.





# ლომი თუ ჭრები

ბუნების მოვლენებზე ხანგრძლივი დაკვირვება ადამიანს საშუალებას აძლევს იწინასწარმეტყველოს ესა თუ ის ბუნების მოვლენა — წვიმა, სეტყვა, ქარი, ჰაერის ტემპერატურა, ერთი სიტყვით — ამინდი. მაგალითად, ზემო იმერეთის ბარში პირველ თოვლს მოელიან მას შემდეგ, რაც სამჯერ ჩამოთოვს რაჭის ქედის ალპურ მდელოებზე. მეოთხედ — აუცილებლად — ბარშიც მოთოვს. ამიტომა, რომ მესამე თოვლის შემდეგ ხალხი ჩქარობს მოსავლის ალება-დაბინავებას.

საშინელი ცივი ქარის — „ნოვოროსიისკის ბორას“ მოახლოებას ქ. ნოვოროსიისკის მცხოვრებნი იგებენ

ფოთლა ლრუბლებით, რომლებიც ულელტეხილის თავზე ჩნდებიან.

სამარყანდის ოქის (უზბეკეთი) მცხოვრებლებმა იციან, რომ მაისსა და ივნისში ფალგარის მთებზე ნისლის ჩამოწოლა იმას ნიშნავს, რომ დასავლეთიდან ცხელი და მშრალი ქარი — გარმსილი მოვარდება. ქარი ნისლის გაჩენიდან სამი დღის შემდეგ მოიჭრება და რამდენიმე დღეს გასტანს. როცა ქარი მთის მწვერვალს მიაღწევს, დაიწყება მდინარე ზარაფშანის წყალდიღობა. ცხელი ქარი, განსაკუთრებით მაისსა და აგვისტოში, მთებში თოვლის დნობას აჩქარებს.

ფალგარისა და ქშტუტას მთების მცხოვრებთ შემჩენელი აქვთ, რომ აპრილსა და მაისში მთაში გროვა ლრუბლების გაჩენას ჭიქა-ჭუხილი მოჰყვება, ფთილა ლრუბლები აპრილში წვიმას მოასწავებს, ხოლო ნოემბერში — თოვას.

ცულკან პოპოკატეპეტლზე დაკვირვების შედეგად მის ახლოს მცხოვრებმა მექსიკელებმა ძველთაგანვე შეამჩინეს, რომ ცულკანის მოქმედებასა და ამინდის მდგომარეობას შორის მჭიდრო კავშირია. როცა კრატერიდან მუქი სქელი კვამლი ამოვარდება და ბოლქვა-ბოლქვად ჩრდილოეთისაკენ გასწევს, აუცილებლად იწვიმებს (სამხრეთიდან თბილი ჰაერის შემოჭრის გამო). თუ კვამლი სამხრეთისკენ წავიდა, ყინვა და სიცივე იქნება (ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის შემოჭრის გამო). კრატერი

დან დროდადრო ამოსროჭულუს ჭუმული რფლის სვეტი ჭიქა-ჭუხილები წინასწარმეტყველების ნია, ხოლო თუ კვამლი ვერტიკალურად აღის, ძლიერი ქარია მოსალოდნელი.

მთებსა და ლრუბლებზე დაკვირვების შედეგად მსგავს მოვლენებს საქართველოშიაც წინასწარმეტყველებენ. ასე, მაგალითად, „მყინვარწვერის ქუდის“ მიხედვით მოხვევები თითქმის შეუცდომლად იგებენ მოსალოდნელ ამინდს. „მყინვარწვერის ქუდი“ ლრუბლების საფარია, რომელიც მწვერვალზე (5407 მ ზღვის დონიდან) ხანგამოშვებით ჩნდება ხოლმე. გამოთბარი ჰაერი მთების კალთებს აჰყვება, მიაღწევს ქედის ზურგს ან მწვერვალს და მეორე მხარეს გადადის. მალო ასვლისას ჰაერი ცივდება, ყოველ კილომეტრზე მისი ტემპერატურა 6°-დან 10°-მდე ეცემა. ამის შემდეგ წყვება წყლის ორთქლის კონდენსაცია, რაც ლრუბლებს წარმოშობს.

თუ მთაზე აღმავალი ჰაერი მშრალია, ლრუბლები არ წარმოიშობა, ხოლო თუ ნოტიოა, მაშინ ლრუბლები ჩნდება, რასაც ნალექებიც მოჰყვება. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ (ამ შემთხვევაში — „მყინვარწვერის ქუდით“) ვიწინასწარმეტყველოთ ნალექების — წვიმის ან თოვლის მოსვლა.

კახეთში გაზაფხულსა და ზაფხულში ხალხი ამინდის მოსალოდნელ ცვლილებას მთა ცივის (გომბორის ქედზე) თავზე გაჩენილი შავი გრო-

## ექსაონატეპი პავევთა სურათების გაღარიბიდან

### ირაკლი ბურჯულავაძე, 7 ფლის



მოროვი კაპი



აგვილოზი გასავალებაზე

# სინუმული

## საქონი

ჩველა სიზოდისათვის გამოსადეგი

ახორი ტანაცმელი ჭრ კიდევ არ არსებობს, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მისი შექმნა უკვე შეიძლება, იმ ახალი ტაბის ბოჭკოს საფუძველზე. რომელიც ამერიკულმა კიმიკებმა მიიღეს. ბოჭკო შედგება განსაკუთრებული პლასტიკური კრისტალებისაგან. მათ შეუძლიათ დააგროვონ ან გასცენ სიობო გარემოს ტემპერატურის ცვალებადობის შესაბამისად.

### 806 სრუტის ცატერზე

ლა-ზანშის ფსერზე, ინგლისის დედაქალაქ ლონდონთან ახლომდებარე ქალაქსა და ბელგიის ქალაქ სტემდეს შორის ამ რამდენმე წნის წინა ჩადეს 118 კმ სიგრძის წყალქვეშა სატელეფონო კაბელი, რომელიც ბოჭკოვანი მინისგანაა დამზადებული. სამი მინის ძაფი იძლევა ორივე მიმართულებით ერთდროულად 11520 სატელეფონო საუბრის საშუალებას. თითოეული ძაფის გულას დიამეტრი სულ რაღაც 8 მილიმეტრია (მეტრის ერთი მეტილიონედი). წყლის წნევისაგან კაბელი ლითონის მილითა დაცული.

### განალაგოთ მერხები წრიულად

კალიფორნიის უნივერსიტეტებამ შეცნიერებმა მოელი რიგი ექსპერიმენტების შედეგად დაასკვნეს (ექსპერიმენტები მესუთე-მემკვებ კლასებში ტარდებოდა), რომ თუ საკლასო ითხზი მერხებს ჩვეულებრივ მშერივებად კი არა, არამედ წრიულად განვალაგებთ, მოხწავლეთა აქტივობა სასწავლო მასალაზე მსჯელობისას შესამჩნევად იზრდება.

ვალუბლებით ივებს. ამ დროს მოსალოდნელია თქეში ან სეტყვა.

ქვემო რაჭაში, სოფელ ნიკორწმინდასთან, არის პატარა ტბა (ე. შ. შავლაძეების ტბა), რომელშიაც ბა-

ნივიც კი ქმარა. თუ კუნძული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გაცურდა, ნალექია მოსალოდნელი. ცხადია, ეს შავი ზღვიდან მონაბერი ნოტიო ქარის გავლენით ხდება; თუკი, პირიქით, კუნძული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გაცურდა, უნალექო ამინდია მოსალოდნელი.

ზოგჯერ ადამიანი თვითონ იწვევს ხოლმე ამინდის შეცვლას. სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში, იუნანის პროვინციის მთიანეთში არის ტბათა ჯუფი, რომელსაც „მოჯადობულ ტბებს“ ეძახიან. რუ რომელიმე ტბის ნაპირზე ხმამალა დაილაპარავებ ან დაიყვირებ, მაშინვე თქეში წამოვა. რაც უფრო ხმამალა იყვირებ. მით უფრო ძლიერად დაასხამს წვიმა.

მეცნიერების აზრით, ამ აღგილებში პარი ისე ძლიერაა გაჭერებული წყლის ორთქლით, რომ მისი ოდნავი შესრევაც კი (ბეგრით გამოწვეული) ღრუბლებიდან წვიმის წამოსვლის მიზეზი ხდება.

ამინდის გამოცნობის ხალხური ნიშნების შესწავლა მარტო აღამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში როდის გამოსადეგი, იგი მეცნიერებსაც აინტერესებს. ამიტომ კარგი იქნება, თუ ჩვენი პიონერ-მოსწავლეები ჩაიწერენ ხოლმე იმ ნიშნებს, რომელთა მიხედვითაც მათი პაპები თუ ბებიები ამინდის ცვლილებებს წინაშარმეტყველებენ.

ზოთა გოგათიშვილი,  
პედაგოგი



ლახეულითა და ბუჩქნარით შემოსილი მცირე კუნძულია. ეს კუნძული მხოლოდ წყნარ ამინდში დგას ერთ აღვილას. მის ასამოძრავებლად



მხედვა და აღამიანობა



პრძოლა ცისხეივაგრესთან



# საპიეთავი

უკრაინული  
ციური გამოცემი



● ზოგჯერ ძნელდება ხოლმე ელექტროჭაღის პლატონის სამაგრი პლასტმასის ქანჩის ამოხრახვნა, პრობლემა ადვილად გადაიჭრება, თუ მოხერხებულად გამოიყენებ ჩვეულებრივ სარეცხის მაჟას (სამაგრებ).




● მუხლუხები ხეხილის ერთ-ერთი კველაში საშიში მავნებლები არიან. მათგან რომ დაცვან, ხეს ტანქე დამკერ სარტყელს უკეთებენ. თუ ამ სარტყელს ბაწრით კი არა, წებოვანი პლიოიტლენის აუსკის ფართო ზოლით დამაგრებ, აუსკის პრილი ზედაპირი დამატებით წინააღმდეგობად იქცევა. რომლის გადალახაც მუხლუხისოვის პრაქტიკულად შეუძლებელია.

● შტორის გაუთოვება არც თუ ადვილი საქმიანობაა. დიასტლის ურჩიე, ასე მოიკრეს: შტორი ჯერ ფართო ფრის შემთხვეოს (მევიდრად, უნდაყცო), ცხელი უთო ფიცრის გაწვრივ ამოძრაოს, გაუთოვებული ნაწილი შემსხვენს და თანდათანით დახვევოს მრგვალ ჯობზე. ძალაშე ფართო შტორები (მაგალითად, დიდი მთახვისა) შეიძლება ირად გაიკეცოს.

● სოკოს საკრებულ მისწრებაა თვითნაკეთი ჩანთა, რომლის შემადგენელი ნაწილებია ჩვეულებრივი მრგვალი ჩანთა და ფლობის მავთულის ცილინდრული სპირალი. დაკეცილი სპირალის დამაგრება მომჭერი კავებით შეიძლება.

● თუ მუშაბბას დიჭხანს დაკეცილს შეინახავ, მისი განწორება მეტე საკმაოდ ძნელი საქმე ხდება. მაგრამ თუკი

იცი, რომ იგი თერმოპლასტიკური პოლიმერია, ვრომლებას ადვილად მოევლება: მუშაბბა მცირე ხნით ცხელ წყალში მთათავსე, მეტე თოკზე გაკიდე, ქვემოთ რამეტ ტვირთი მიამაგრებ და ასე, დაკიმულ მდგომარეობაში, ამუსფე გაშრობამდე.



- |   |        |    |
|---|--------|----|
| 1. მიმავა — დედა; უსათაურო (ლექსები)                    | გარეტ. | 2  |
| 2. გლეაზვილი — თეატრი, სახელად „საფეხურები“ (ნარკ-3030) |        | 1  |
| 3. ვარაზანაზვილი — წინაპართა ნაკვალევზე (მოთხრობა)      |        | 4  |
| 4. ცირსოვი — „დრუზება“ ხელს უწყობს მეგობრობას (წერილი)  |        | 10 |
| 5. გოგოლავა — ახლავე, სანამ გვიან არ არის! (წერილი)     |        | 12 |
| 6. გერევალი — ლექსები                                   |        | 13 |
| 7. პილვილი — ცისკენ გაკვალული ბილიკი (მოთხრობა)         |        | 14 |
| 8. გრევილი — ლექსები                                    |        | 18 |
| 9. ასლაგაზივილი — რას გვიანმობენ ძეგლები (ნარკვილი)     |        | 19 |
| 10. გევედები — ბრძოლული ჩერეანი (ზღაპარი)               |        | 22 |
| 11. გარჯება — რევორტუჟი კოხტაგორადან                    |        | 23 |
| აისი  |        | 26 |
| კოცონი  |        | 26 |
| 12. ვლატონები — ყვავილი მიწაზე (მოთხრობა)               |        | 28 |
| 13. გოგატიზვილი — დარია თუ ავლარი? (წერილი)             |        | 30 |
| საინტერესო სიახლე ნი                                    |        | 31 |
| გამოგადგები   |        | 32 |
| ცხრაკლიტული   | გარეტ. | 3  |
| 14. ჭალადანი — ჭორქონე (წერილი)                         | გარეტ. | 4  |

გარემონტის 1-ლი გვერდის შეატვრობა ზურაბ ცორჩებისა

## შთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაზვილი, ლეგიარ აზხაზავა (პ/ზგ. მდივანი), ზურაბ ბოცავავი, მანანა გლეაზვილი, აკადემიური გურებელი, ლოდო ვადაპარისა, იოსებ სამსონავი, გაიოზ ცოცხებილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ ვამპანაძე, სიმონ ზავაზრიანი, ლიანა გეორგიშვილი, ზურაბ ჭეშმარიშვილი.

რედაქციის მისამართი: 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონი: შთავარი რედაქტორი — 98-97-05, 98-81-81, 3. მგ. მდივანი — 98-97-08, 98-58-05, განყოფილებების — 98-97-02, 98-97-01. გადატეცა ახალი წერტილი დახაბეჭდად 4.08.88 წ. ქალაზის ფორმატი 60 × 90<sup>1/8</sup>. ფიზიური ნაბეჭდი ცურცელი, 4.9. სააღრიცხვო-საგამომცემო თაბაზი 4.4; შეკვ. 178. ტირაჟი 150.000 ეგზ., უმ 09245.

საქართველოს კაცის გამომცემლობის სტამბა. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორების პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

**Главный редактор  
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА**

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Формат 60 × 90<sup>1/8</sup>, учетно-изд. л. 4.4; усл. печ. л. 4.9. Тираж 158000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1988 წ.



თარაზულად: 6. იერიშო.  
გადამწყვეტილი ბრძოლა: 7.  
საფრენი აპორატი: 8. შემო-

ვილი, მატულის, ნახევრად მა-  
რყლისა ან ბამბეულისა: 17.  
საბჭოთა კავშირის მარშალი.

၃၀: ၂၇. မြစ်ဝာရွှေ ၁၃၄၀၂၁၁၈၀  
၂၈. မင်္ဂလာဒေါ်လွှဲ ၉၇၀၂၂၅၂၅၁၀  
၂၉. အာရာ ၁၁၂၇၇၀၀။ ၁၁၁၀၆၂၆၀

A crossword puzzle grid with blacked-out sections and numbered squares. The grid consists of a 10x10 area with various blacked-out regions. Numbered squares include 1, 2, 3, 4, 6, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, and 29. There are also several decorative symbols: four asterisks (\*\*\*\*) at the top, two four-pointed stars (★), two five-pointed stars (★★), and four flower-like symbols (✿✿✿✿).

სულ-გასული ქადაგების ჩ. საჭრი წიგნი. დავთარი; 9. საპარმ ფლოტი; 10. გამბე-დამბა. ალალბედად მოქმე-დება; 11. ტროპიკული მცენა-რე; 12. მარცის მსგავსი ქსო-

Digitized by srujanika@gmail.com

ხელა მძღვანილი და შედგარი  
(ოქვენც უშეგვებდებოდათ,  
ვიცი მე),  
არც კარისტალი აშინებს,  
არც ახობით წლის ხიმინმე  
ერთსაც გიტუვით და,  
თუ იცნობოთ.  
მერე მოლით და იცნეთ:  
ყვილაშე გვიან ილვინებს,  
ყვილაშე გვიან იძინებს.

ერთი გრუბუნა დევია,  
მარცვლეულსა ჭამს მხოლოდ.  
ორი ვეება კბილია  
მისი თავი და ბოლო.

ବେଶ-କ୍ରେ ହାମ୍ବାଣିରୁଣ୍ଡିଙ୍ଗ  
(ହେବାଙ୍ଗ ଲଙ୍ଘାତ ଗ୍ରମେଣ୍ଟୀ),  
ପ୍ରଦୀପାନ୍ଧ ଗାଲମାନ୍ଦାରୀ,  
ଏରାଫ୍ରେରୀ ଥିର୍କୁଣ୍ଡିଙ୍ଗ,  
ନେବ୍ର ଗ୍ରାମ ଲୋହାଲୁଙ୍କି  
ପଲ୍ଲେଣ୍ଟା-ପଲ୍ଲେଣ୍ଟା!

კავალერიისტი; 18. ჭეშმარი-  
ტება. რომელიც დასაბუთობას  
არ სპირობებს; 19. მუსტოლმან-  
თა უმაღლესი სასულიერო  
პირი; 21. ჩხირი წიწვოვანი  
ტური; 23. ზამბახი; 25. ბინძი-

ନିଶ୍ଚାରକୁ ଏହିବେ ଓ ତପ୍ରାଣ୍ୟଦି—  
 ଯେତୁ ମିଳି ଫର୍ମନ୍ତରେ,  
 ଏହିପା ତପ୍ରାଣୀ ଏହିବେ ଓ ଏହି  
 କୁଳି,  
 ଏହିପା କୈପ୍ରା ଓ ଗନ୍ଧର୍ବା.  
 ଲୋକନ୍ଦ ଉତ୍ସରତ୍ନିଲଙ୍ଘର, ପ୍ରାଣରେ  
 (ଶିଖରର ବାହମନୀ, ବାନୀ  
 ଗାଥିନ୍ଦରଃ):  
 କାଶାପ ନିଶ୍ଚାରକୁଶ ମନୋପ୍ରେସ.  
 ନାରାଜ ଗାଵନୀର ମାଶିନ୍ଦ୍ର.  
 ୬. ଧୂରାହିରାଲୀ

ପ୍ରେସଲାଇ: 1. ପଦିନ୍ଦାର୍ଥ  
ଫ୍ଲେଜିଳ୍: 2. ଡାର୍ଚେସେମ୍‌ପ୍ଲେବ୍  
ସାଇଟ କଲେବ୍ ମିଶନ୍ ଲିମିଡ୍

ଶ୍ରୀଲଙ୍କା ଏତନେଟ ତାଣୁପଦ୍ଧତି,  
ଅଧିକା, ମାରନୀଳ ବାନ୍ଧୁଲୀ  
ବ୍ୟାଙ୍ଗା, XI ବ୍ୟାଙ୍ଗା.

ବୁଦ୍ଧିମତୀରେ  
ପାଦପାଦିକ

ମନ୍ତ୍ରେମ୍ବୁଲି ଓଗୁରୁ ଡ୍ୟାକ-  
ନ ନ ତାଙ୍କାଳିଣ ନାହିଁଲାଏ ବସ୍ର,  
ଏଥି ତାତାରୀଲୁ ନାହିଁଲାଏ ମନ-  
ଦ୍ୱାର୍ବ୍ଲେଶ୍ବୁଲ ନୁହେବାର କୁମର  
ପାଦରେ ଉଠିଲା ଏହିତି ଏହିତି  
ପାଦରେ

13	9	12
8	11	8
5	7	14
7	6	9
7	14	10
5	12	16
15	6	10
10		9

ენის სათვეს  
ახალციხის ციხის ძირას  
მწყერი ვწვი და მწყერი ვკა-  
ზე.

၁၆ ဟိမိ ဒုက္ခ၊ အတွက် ပေါ်လောင်း၊  
၁၇ ဒုက္ခ စူး မြောတွက် ပေါ်လောင်း၊  
၁၈ မြော ရှာတော် အန ပေါ်လောင်း  
တော်ပါ။

କାହାରକୁଣିଙ୍କ ଘୁରୁଣିଶ୍ଵାଳିଲୀ ଘୁ-  
ରି କାହାରକୁଣିଙ୍କ ଶ୍ଵାଳିଲୀ ଥେ ରାମ  
ଏହି ଦ୍ୱୟାକାରକୁଣିଙ୍କ ଶ୍ଵାଳିଲୀପ ନ ଦ ତ  
ଶେଷ ରାତ୍ରିମ ଦ୍ୱୟାକାରକୁଣିଙ୍କ ଶ୍ଵା-  
ଳିଲ୍ଲାଦୁ.

კარალოები აკარალოებულა  
საკარალოებულა ჩაკარალოებულა

ერისთავი გ. გუბაშვილი

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՎՐԱՅԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

მოთავსებელ  
„ცხრაქლიშვილზე“  
გამოიწვია

ପ୍ରାୟକିରଣ, ନାଟ୍ୟରୀତି, ମାୟବାଲୀ,  
ଶ୍ଵେତି, ତୈରମନିଦୀର୍ଘରୀତି ଶ୍ଵେତି,  
ଶୁଦ୍ଧି, ଲାଲୁପଦ୍ମରୀତି, କୋତରୀ, ନାଥ.

მწყერი, ნემსი, მწყემსი;  
ანაგრაგვი

ମତ୍ରେଣ, ମେତ୍ରେଣ; ପ୍ରୋଗ୍ରାମ, ପ୍ରୋଗ୍ରାମ;  
ଅର୍ଥାତ୍ ଆର୍ଥିକ

ଟାରୁବିଶ୍ୱାସ: ୧. ମେଘନା-  
ଲୋ; ୨. ପାରୁବତୀ; ୩. କୃତ୍ୟାଳ୍ୟ;

8. ჰაბბია;
10. დიქტაია;
12. კორსიკა;
15. აბბილია;
16. დიალოგი;
17. იალბუზი;
19. ტაქტიკა;
24. დეკრეტი;
26. ეფექტი;
28. აფრიკა;
30. ანტენა;
31. არმში;
32. არდაზიანი.

**შვეულდა:** 1. მარსი; 2. ონეგერი; 3. იმპერია; 4. იმედი; 5. კამა; 7. ანცი; 8. ჰაქონაძე; 9. აკრი; 10. დახი; 11. აქტივიცია; 13. ლიობი; 14. ფლოტი; 18. ზოდი; 20. არია; 21. აკოლადა; 22. დესანი; 23. ლემა; 25. ჩინი; 27. „ტატრა“; 29. ღრანი.

“ଶୁଦ୍ଧିରୀମବି ପାତ୍ରରୀମବା: „ନେହନେହାଳି“ ମେ-2 ନମରିଗଢି  
ମନୋକାଙ୍କଳିରୀମବି ପାତ୍ରରୀମବା: „ତଥାରକାଶୁଲାଦ“  
କାନ୍ତିକାଙ୍କଳିରୀମବି ପାତ୍ରରୀମବା: 26.  
ଲମ୍ବାରୀ ଶତାବ୍ଦୀରୀମବି ପାତ୍ରରୀମବା: ମନୋକାଙ୍କଳିରୀମବି ପାତ୍ରରୀମବା:

694/75



## ქორქოვი

## „ივლითი“

სახელგანთქმული იტალიელი მხატვარი, ქორქო და კასტროლანკო, მეტსახელად ქორქონე, ცხოვრობდა და მოღვაწობდა ვენეციაში, უმცველიერს ქალაქში, რომელსაც ოდითგანვე „აღრიატიის მარგალიტს“ უწოდებდნ ენ. ვენეციის სილამაზე, მისი მო-

ლივოვე ზღვისა და კაშკაშა ცის ფერები ნათლად აისახა ქორქონეს შემოქმედებაში მის სურათებში დიდი ადგილი და დაფთო ბუნებას, ივი განსაკუთრებული გრძნობი ით უმდეროდა ბუნების სიდიადესა და მშვენიერებას.

მაგრამ მთავარი ქორქონეს

შემოქმედებაში ისევე, როგორც საერთოდ იტალიური ალორძინების თხრატთა ნამუშევრებში, მაინც არის ადამიანი — ბუნების უკლაშე დიდებული ქმნილება. ქორქონეს პერსონაჟები ყოველთვის გამოირჩევიან სულიერი და ფიზიკური სრულყოფილებით. გარდა ამისა, მათ ახასიათებთ რაღაც თავისებური, განსაკუთრებული ბუნება-განწყობა, და კუელასაგან განსხვავებული მომზიდლაობა. ეს, აღმათ, გამოწვეულია მათი სევდანარევი სინაზითა და იდუმალებით.

დავაკვირდეთ თუნდაც ლენინგრადის ერმიტაჟში დაცულ ამ ტილოს, რომელსაც „ივლითი“ ეწოდება. ეს სურათი ბიბლიური ლეგენდის მიხედვით არის შექმნილი. მისი სიუჟეტი ძალზე პომულარული იყო და მას ხშირად მიმართავდნენ იმ დროის მხატვრები — მაგალითად, სანდო ბოტაჩელი, პიტერ პაულ რუბენსი, ანდრეა მანტენია და მრავალი სხვა.

ეს ლეგენდა მართლაც ძალის საინტერესოა — იგი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ოდესაც მხედარომთავარი ოლოცვერი თავისი ურიცხვი ლაშქრით თავს დაგეხსა ქალაქ ბეთულიას. ქალაქს უკველი განადგურება ემზექრებოდა, მაგრამ მისი მკიდრი ქალი, მშვენიერი და თავგანწირული ივლითი, ეშმაკიბით შეიპარა მტრის ბანაქში, თავი მოქვეთა მხედარომთა ვარ ილოცვერის და ამით სამშობლო საზინელი საფრთხისაგან იხსნა.

სწორედ ეს ძელოთაკველი თქმულებაა ასახული ქორქონეს სახელგანთქმულ ტილზე. ივლითი გამარჯვების ის ხ, ტრიუმფის მოქმედშია გამოსახული — ხელში ხმალი უჭირავს, ფეხით კი დამარცხებული მტრის თავს ეხება. ქორქონეს უნდოლა განსაკუთრე-

ბით გაესდა ხაზი ივლითის კეთილშობილებისთვის, სულიერი სიწმინდისა და ამაღლებულობისათვის — ალბათ, ამოტომაც არის ასეთი ნაზი, ქალური და კდემამოსილი ზის თხელი სახე, სათუთა ხელები და მსუბუქი, ურთხილი მოძრაობა.

ასეთ განწყობას კიდევ უცრო უდინიერებს გარემონცველი ბუნების წყნარი, მშვიდი სილმარცელიდი ისტაბილითა და სიყვარულით ამოწერს ქორქონე ყვავილებს, ბალას, ფოთლებს. შორეული ცისფრი სივრცის ფონზე ნათლად გამოიყოფა ივლითის უხვინაკვანი ვარდისფერი სამისა და მოელვარე ხმალი. საერთოდ ვენეციელ მხატვრებს განსაკუთრებით უყავრდა მდიდარი ცერადოვნება. ქორქონე შესანიშნავდ გადმოსცემს უერების გადასცემებს, ნახევარტონებს, სინათლის თამაშსა და მუქ ჩრდილებს. სამხრეთული გზის თბილი სსივები იქროსუერი ნათლით მოსავს უკალ საგანს და განუმეორებელ სიღრმესა და კეთლშობილებას ანიჭებს კოლორიტს.

ქორქონე ძალზე ახალგაზრდა გარდაიცვალა. იგი სულ 28 წლისა იყო, როდესაც 1510 წ. ზევი ჰირის მსხვერილ გახდა. დიდ მხატვარს ბევრი რამ დარჩა განუხორციელებელი. მისი უკანასკნელი გენიულური ნმუშევარი — „მძინარე ვენერა“ დაუსრულებელი დარჩა. სურათის დაუმთავრებელი უონი დაასრულა ქორქონეს მეგობარმა — მეორე გენიალურმა ვენეციელმა მხატვარმა, ტიციანმ. სწორედ ტიციანმა გააგრძელა გარდაცვლილი მეგობრის ძიებები და მიუღწეველ სიმაღლეზე აიყვანა ცერაწერის დიდებული ვენეციური სკოლა.

თაო კალალანი, ხელოვნებათმცოდნე.